ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი, 2017 №253 (7487) ფასი: 50 თეთრი

## სააკაშვილი შეიძლება უკრაინიდან გააძევონ



გვ.3

მის 20 თანამებრძოლს უკვე გამოუტანეს განაჩენი

17 ოქტომბრიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „მანქანით, რომელიც ჟინვალთან დაიწვა, თამაზ მეჭიაურიც აპირებდა წამოსვლას“

როგორც სისაური და ღვალაძე ამბობენ, ისინი მეჭიაურის ოფისში მივიდნენ. ამ მანქანით თამაზ მეჭიაურიც აპირებდა წამოსვლას, უნდა გამოჰყოლოდა მათ. გასაჩივრების საკითხებთან დაკავშირებით უნდა ენახათ იურისტები. მეჭიაურს უთქვამს, მე ვერ წამოვალო. ისინი მარტო წამოვიდნენ ოფისიდან. წამოსვლიდან რამდენიმე წუთში მოხდა ინციდენტი. თვითონ ვარაუდობენ, რომ ეს იყო მოლოტოვის კოქტეილი, რომელიც მანქანას ესროლეს გაურკვეველმა პირებმა.



გვ.2





## ანა ნაცვლიშვილი: „არჩევნებზე კოორდინატორები ამომრჩევლებს აკონტროლებდნენ“

გვ.4



## რომან გოცირიძე: „მეორე ტურში მონაწილეობას აზრი არა აქვს“



გვ.2



გვ.3

## შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ მოქალაქეთა კავშირივით დაამთავრებს“

### სამართალი

გვ.7



გუკა რჩეულიშვილი „ცენტრ პოინტის“ საქმეზე სასამართლოს ჩვენებას ერთი თვის შემდეგ მისცემს



მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ახალი ჯარიმები წესდება

მკვლელობა კახეთში 30 წლამდე მამაკაცი თანასოფლელმა დანით მოკლა




### ეკონომიკა

გვ.6



რატომ უფასურდება ეროვნული ვალუტა?

„ავტორიზაციის ახალი სისტემა მოქალაქეებს შენგენის ზონაში შესვლას არათუ გაურთულებს, არამედ გაუადვილებს“





„თხილის მოსავლის განადგურებას მხოლოდ აზიურ ფაროსანას ნუ დავაბრალებთ“

ISSN 1987-9385

**6** ოქტომბერში ბენზინი და დიზელი საქართველოში 2-4 თეთრით გაძვირდა

**5** ცხინვალმა ბარსელონაში წარმომადგენლობა გახსნა

**6** რატომ უთხრეს უარი ბანკებმა ბიზნესმენს ასანთის ქარხნის აშენებაზე?

**7** 25 წლის ბიჭი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა

# რომან გოცირიძე: „მეორე ტურში მონაწილეობას აზრი არა აქვს“

## უღალატა თუ არა ნაციონალურმა მოძრაობამ თავის ამომრჩეველს

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც ჩანს, თქვენს პარტიაშიც არ არის ერთსულოვნება. რა გახდა მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი და თქვენ რამდენად იზიარებთ ამ პოზიციას?***

– პარტიაში ერთიანი პოზიცია არის ჩრდილოეთ კორეაში და „ქართულ ოცნებაში“. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ჩვენ ოთხსაათნახევარი ვმსჯელობდით პოლიტსაბჭოზე, სადაც ჩამოსული იყვნენ ქუთაისიდან და მარტვილიდან ჩვენი აქტივისტები, ასევე მეორე ტურში გადასული კანდიდატები. ჩვენ მოვისმინეთ ყველა აზრი. რა თქმა უნდა, კენჭისყრა არის ბუნებრივი შედეგი, ის არის საბოლოო გადაწყვეტილების დამაფიქსირებელი. ხმები გაიყო და უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეორე ტურში არ მივიღოთ მონაწილეობა. ეს იყო უმრავლესობის გადაწყვეტილება და სწორედ ეს არის დემოკრატიის მაჩვენებელი და არა ის, რომ ვიღაცებმა ვიწრო წრეში გადაწყვიტონ და მერე თავს მოახვიონ საზოგადოებას.

***– თქვენ მომხრე იყავით თუ მოწინააღმდეგე?***

– თუ პარტია გადაწყვეტს, რომ გასაჯაროვდეს, ვინ იყო მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, მაშინ ჩვენ გამოვაქვეყნებთ პოლიტსაბჭოს სიაში კენჭისყრის შედეგებს. ჩვენთვის არც ეს არის პრობლემა. ზოგი წინააღმდეგი იყო, ზოგი მომხრე. უმრავლესობა იყო წინააღმდეგი, რომ პარტია გასულიყო მეორე ტურში, აი ეს არის და ეს.



***– კეთდება შეფასებები, რომ ნაციონალური მოძრაობა უსამართლოდ მოექცა საკუთარ ამომრჩეველს ქუთაისში და მარტვილში. შესაძლოა შემდეგ არჩევნებში მათი ხმები დაკარგონო. ეს რამდენად გაიაზრეთ და გაითვალისწინეთ?***

– ჩვენ დავეყრდენით სწორედ ქუთაისის პარტიული აქტივის პოზიციას. მათი პოზიცია იყო, რომ მეორე ტური არ ყოფილიყო, ხოლო მარტვილის აქტივი მოითხოვდა, რომ პირიქით, მეორე ტური გამართულიყო. პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეორე ტური არ გამართულიყო. ეს, შესაძლოა, ჩვენი ამომრჩევლის ერთ ნაწილს მოეწონოს, მეორე ნაწილს არა. ეს რომ არ იყო მარტივი, ამიტომაც იყო, რომ ოთხ საათზე მეტი ვიმსჯელეთ ამაზე.

***– რატომ ჩათვალეთ, რომ მეორე ტურში ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა?***

– პარტიამ ასე ჩათვალა. თუნდაც შარშანდელი გამოცდილებიდან. 45 კაცი გავიყვანეთ და იქაც კი, სადაც თითქმის ჩვენ ვიგებდით მეორე ტურს, ჩამოუარეს ოჯახებს, დააშინეს და არჩევნებზე არ მიიყვანეს ხალხი. როდესაც გვაქვს ცუდი გამოცდილება, ასევე ის, რაც ახლა მოხდა, ამ არჩევნებზე...

***– ამ არჩევნებზე რა მოხდა? საუბარია, რომ ყველაფერი მშვიდ ვითარებაში ჩატარდა.***

– ტოტალური მოსყიდვა მოხდა, ასევე თითოეული ადამიანის შანტაჟი, ფულით თუ ავტორიტეტებით. საჯარო სექტორში დასაქმებულების დაშინება, სამსახურებიდან გაგდების მუქარა და ასე შემდეგ. ჩავთვალეთ, რომ ამ შემთხვევაში გავრიდებოდით ამ პროცესებს და ზედმეტი წნეხის ქვეშ არ დაგვეყენებინა ჩვენი ამომრჩეველი. ამ უსამართლოდ ჩატარებული არჩევნების ფონზე, ჩვენ არ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ამ ორ ოლქში ყოფილიყო ზედმეტი დაძაბულობა. ჩვენ არჩევნებში გავიმარჯვებთ მაშინ, როდესაც მთლიანად ვამხელთ ამ ხელისუფლების უსამართლობას. უსამართლობას ხალხი არ პატიობს. ასე ხდება ყოველთვის და ასე იცვლებიან ხელისუფლებები.

***– თქვენც ასე შეიცვალეთ?***

– სწორედ ასე წააგო ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები, როდესაც ნაციონალურ მოძრაობას სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერ გააყალბებდა არჩევნებს. ვინაიდან მაშინ უზარმაზარი ხალხის მასა იყო მობილიზებული, რომ არჩევნები ყოფილიყო სამართლიანი.

***– გამოდის, რომ ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული და არა ხელისუფლების სურვილზე, მაშინ რატომ სდებთ ბრალს გაყალბებაში?***

– თუ ხალხს უნდა, არჩევნები ჩატარდება სამართლიანად. ხალხმა რომ გაიგოს ქვეყანაში უსამართლობაა, რომ არჩევნები არასამართლიანია, ამისთვის საჭიროა მუშაობა და ახსნა-განმარტებები. ის, რომ არჩევნების დღეს სიმშვიდე იყო და გაღიმებული ხალხი იჯდა საარჩევნო უბნებზე და ყუთებში პირდაპირ არ ყრიდნენ ბიულეტენებს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არჩევნები იყო სამართლიანი.

***– თუ არ გაუყალბებიათ, ბიულეტენები არ ჩაუყრიათ, სიმშვიდე იყო, მაშინ უსამართლობა სადღა ნახეთ?***

– ძალიან ბევრი რამ წყდებოდა არა ყუთთან, არამედ მანამდე. როდესაც ამას ხალხი გაიგებს, მაშინ ისინი დაიცავენ საკუთარ ინტერესებს. ისე, როგორც დაიცვა ნაციონალურმა მოძრაობამ, როცა შევარდნაძის რეჟიმი დაამარცხა და ისე, როგორც დაიცვა „ოცნებამ“, როცა ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა. 2012 წელს ნაცმოძრაობა მცირედით დამარცხდა, მას დიდი რესურსი ჰქონდა იმისა, რომ არჩევნებში მანიპულაცია გაეკეთებინა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

***– თუ შეეძლო რატომ არ გააკეთა?***

– ნაციონალები მიხვდნენ, რომ ხელისუფლების ცვლილების დრო იყო, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ცვლილება რუსეთის მიერ ამ ჰიბრიდული ბრძოლის მეთოდებით იყო დაგეგმილი. ამ მეთოდებით მათ ყირიმიც კი ჩაიგდეს ხელში. რუსეთის აგენტურის მიერ დადგმულმა ქმედებებმა განაპირობა ის, რომ ჩვენ დავმარცხდით. გაიმარჯვა რუსეთის მიერ დაგეგმილმა ჰიბრიდული ომის ქართულმა ნაირსახეობამ და ხალხი იქნა მწარედ მოტყუებული! ხალხს დღესაც მწარედ ატყუებენ ამ შენიღბული სიმშვიდით, თითქოსდა უბნებზე რომ სიწყნარეა, ეს ნიშნავდეს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას.

***– ამ დრომდე ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციის სტატუსს ინარჩუნებდა, თუმცა თბილისში დამოუკიდებელმა კანდიდატმა ალეკო ელისაშვილმა დაგამარცხათ.***

– ეს არაფერს ნიშნავს. ნაციონალური მოძრაობა ყველგან, უკლებლივ ყველა საკრებულოში შევიდა და აქედან 99%-ში ნაციონალური მოძრაობა გავიდა მეორე ადგილზე. რაც შეეხება მერის არჩევნებს, ეს იყო სპეციფიკური შემთხვევა და უბრალოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების იმ ნაწილმა, რომელიც იყო განხიბლული და იმედგაცრუებული მმართველი პარტიის მიმართ, მხარი დაუჭირა ელისაშვილს და ეს სპეციფიკური შემთხვევა, რაც ყველა არჩევნებში ხდება. ეს ბევრს არაფერს არ ნიშნავს.

# „მანქანით, რომელიც ჟინვალთან დაიწვა, თამაზ მეჭიაურიც აპირებდა წამოსვლას“

შორენა მარსაგიშვილი

**თიანეთში საქმე იმაზე სერიოზულად არის, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ბათილად ცნობილი ბიულეტენების გაცოცხლების სკანდალს მანქანის დაწვაც დაემატა. უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ამ მანქანით თამაზ მეჭიაური უნდა წამოსულიყო თბილისში.**

დამწვარ ავტომობილში, რომელსაც, სავარაუდოდ, მოლოტოვის კოქტეილი ესროლეს, ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენლები მახარე სისაური და რამაზ ღვალაძე იმყოფებოდნენ.

ინციდენტი 24 ოქტომბერს 00.10 წუთზე მოხდა. ღვალაძე და სისაური თიანეთიდან მოდიოდნენ, სადაც ისინი თამაზ მეჭიაურთან ჩავიდნენ.

– მე და მახარე სისაური თიანეთში თამაზ მეჭიაურის საარჩევნო შტაბში ვიყავით. შეხვედრის დასრულების შემდეგ თბილისში წამოვედით. თიანეთი-ჟინვალის გზაზე, სავარაუდოდ, მოლოტოვის კოქტეილი გვესროლეს. მანქანას ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რამაზ ღვალაძემ.



ავტომანქანის მეორე მგზავრი მახარე სისაური იხსენებს, რომ საპირისპირო მხრიდან მოძრავმა მანქანამ შუქები აუნთო და გაჩერება მოსთხოვა, რის შემდეგაც მათ თავს დაესხნენ.

სისაურმა და ღვალაძემ მომხდარის შესახებ თამაზ მეჭიაურს აცნობს. მანქანის დაწვის შესახებ პირველი ინფორმაცია სწორედ მან გაავრცელა.

მეჭიაური შემთხვევითობას გამორიცხავს. მის ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ არჩევნების დღეს მახარე სისაური იმ უბანზე იყო მისი წარმომადგენელი, სადაც გაბათილებული ხმების გაცოცხლება მოხდა.

– მახარე სისაური იმ საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა, სადაც გაბათილებული 5 ხმა საოლქო კომისიამ გააცოცხლა და ჩემს კონკურენტს, ლელა ქიტესაშვილს დაუმატა, რითიც ის გამარჯვებულად გამოაცხადა. ამ საქმეს სასამართლო განიხილავს. მახარე სისაური ამ საქმეზე მოწმეა. ასე რომ, მანქანა შემთხვევით არ დაიწვებოდა, – ამბობს მეჭიაური.

მომხდართან დაკავშირებით უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებენ.

– როგორც სისაური და ღვალაძე ამბობენ, ისინი მეჭიაურის ოფისში მივიდნენ. ამ მანქანით თამაზ მეჭიაურიც აპირებდა წამოსვლას, უნდა გამოჰყოლოდა მათ. გასაჩივრების საკითხებთან დაკავშირებით უნდა ენახათ იურისტები. მეჭიაურს უთქვამს, მე ვერ წამოვალო. ისინი მარტო წამოვიდნენ ოფისიდან. წამოსვლიდან რამდენიმე წუთში მოხდა ინციდენტი. თვითონ ვარაუდობენ, რომ ეს იყო მოლოტოვის კოქტეილი, რომელიც მანქანას ესროლეს გაურკვეველმა პირებმა.

სანამ ესროდნენ, ჯერ გაჩერება სთხოვეს, ხელი დაუქნიეს, ამათ არ იცოდნენ, ვინ იყო. ჩათვალეს, იქნებ არჩევნებთან დაკავშირებით კომისიის წევრები არიანო და გააჩერეს მანქანა. ამის შემდეგ ესროლეს მოლოტოვის კოქტეილი. საბედნიეროდ, შიგნით ვერ შევარდა და გარედან წაეკიდა ცეცხლი მანქანას. ისინი გადარჩენილი არიან, ცოცხლები არიან.



სავარაუდოდ, ეს არის არჩევნებთან დაკავშირებული. რა თქმა უნდა, მოვითხოვთ ამის გამოძიებას, როგორც არჩევნების თანმხლები მოვლენის, – განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

მახარე სისაური და რამაზ ღვალაძე 2012 წელს ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდნენ. მეჭიაურის დამკვირვებლები ისინი, ნანა კაკაბაძის თქმით, შემდეგნაირად გახდნენ:

– სისაურიც და ღვალაძეც პოლიტპატიმრები არიან. ისინი ყინწვისის საქმეზე იყვნენ დაკავებული. მახარე დუშეთიდან არის და მეჭიაური, ეტყობა, დაუკავშირდა, როგორც ადგილობრივ მკვიდრს, როგორც აქტიურ ადამიანსა და ყველაზე უფრო ცნობად სახეს იმ რაიონში. აქედან გამომ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილი შეიძლება უკრაინიდან გააძევონ

## მის 20 თანამებრძოლს უკვე გამოუტანეს განაჩენი

შორენა მარსაგიშვილი



**საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესაძლოა უკრაინაში დაწყებული აქციები ვერ დაასრულოს. უკრაინის საიმიგრაციო სამსახურის გადაწყვეტილების გამო, დიდი ალბათობით, მას ქვეყნიდან გააძევებენ. ამაზე ჩვენებურის ადვოკატიც საუბრობს.**

უკრაინის სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახურმა მიხეილ სააკაშვილს განაჩენი გუშინ, 24 ოქტომბერს გამოუტანა. მას დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრეს. საზოგადოებას ამის შესახებ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ ამცნო, რომელიც ოდესღაც ჩვენებურის მეგობრად ითვლებოდა.

— სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახურმა უარი განუცხადა მიხეილ სააკაშვილს დევნილის სტატუსის მინიჭებაზე. ის ახლა აპატრიდია. არ არსებობს გარემოება, რომელიც მის დეპორტაციას ან ექსტრადირებას შეუძლებელს გახდის, — აღნიშნა ქვეყნის გენპროკურორმა.

უკრაინის საიმიგრაციო სამსახურმავე გადაწყვიტა, ქვეყნიდან გააძევოს მიხეილ სააკაშვილის 20 ქართველი თანამებრძოლი, რომლებსაც უკრაინაში ბინადრობის უფლება აქვთ მიღებული.

რამდენიმე დღის წინ 3 ქართველი სამხედრო უკვე გამოაძევეს საქართველოდან. მათ შორის ერთ-ერთი დონბასის ომის გმირი, პოლკოვნიკი დავით მაყიშვილია.

ლუცენკომ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ ის ქართველებს არაფერს ერჩის. ქვეყნიდან მხოლოდ იმ ქართველებს უპირებენ გაძევებას, რომლებმაც უკრაინაში ბინადრობის უფლება უკანონოდ მიიღეს იმ პერიოდში, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტი ეკავა.

მისივე განცხადებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტი ექსტრემისტებს ეყრდნობა.

— სააკაშვილი უკრაინელი და ქართველი ექსტრემისტების ვიწრო წრეს ეყრდნობა. ოდესის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა საოლქო კომუნალური ცენტრი, რომელიც ოლქის ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა, ქართველებისთვის ბინადრობის უფლების მინიჭებას ითხოვდა. ამასთან, ამ პირთა ნაწილი კულტურის სფეროში საქმიანობის ნაცვლად სააკაშვილის მძღოლებად, დაცვის წევრებად და თანაშემწეებად მუშაობდა, რამდენიმეს კი ოდესის საბაჟოში სპეციფიკური თანამდებობები ეკავა, — აღნიშნა გენპროკურორმა.

სანამ სააკაშვილი უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას არ განუდგა, ოფიციალური კიევი ამას რატომღაც ვერ ამჩნევდა.

ახლა კი, სავარაუდოდ, ქართველების დევნა დაიწყება. 20 ადამიანს უახლოეს მომავალში გაადეპორტებენ.

— 20 პირს უკრაინაში ყოფნის არანაირი საფუძველი არ აქვს და ისინი გაძევებული იქნებიან, რაზეც ახლა საიმიგრაციო სამსახური მუშაობს, — განაცხადა ლუცენკომ.

მის განცხადებას საქართველოს მესამე პრეზიდენტი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა. ის ლუცენკოს სიცრუეში ადანაშაულებს.

— გენერალური პროკურორი ლუცენკო ტყუის! ის ამბობს, რომ საიმიგრაციო სამსახურმა ქვეყანაში ყოფნის უფლება არ მომცა და ახლა ჩემი დეპორტაციაა შესაძლებელი!

მთელი ირონია იმაში მდგომარეობს, რომ საიმიგრაციო სამსახურს არა მხოლოდ არ უთქვამს უარი ჩემთვის, მათ ამ დრომდე საერთოდ არ უპასუხიათ ჩემს მოთხოვნაზე და არ წარმოუდგენიათ არანაირი საბუთი, რომელთა საფუძველზეც მე უკრაინაში ყოფნის უფლება არ მექნებოდა!

ლუცენკოს თითოეული სიტყვა სიცრუეა. ამ საკითხზე პრესკონფერენციას გავმართავ და ვუპასუხებ მას, — წერს ფეისბუქზე სააკაშვილი.

# „მიშა დღეს „უსახელურო ჩემოდანს“ ჰგავს, გადაგდება გენანება, ტარებით კი ვერ ატარებ“



სტატიაში გადმოცემულია რუსეთის პოპულარული გაზეთის ჟურნალისტის შთაბეჭდილებები, რომელიც საქართველოში რამდენიმე დღე იმყოფებოდა და საკუთარი თვალით დაინახა ქართველების ყოველდღიური ცხოვრება, მათი განწყობა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია.

სტატია გაზეთში ორ ნაწილად დაიბეჭდა. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ პუბლიკაციის მოკლე მიმოხილვას:

* * *

სტატიის პირველ ნაწილში, ისევე, როგორც უცხოელი ჟურნალისტების უმრავლესობა, რუსი მიმომხილველიც თავისი შთაბეჭდილებების გადმოცემას თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან იწყებს და ტაქსის მძღოლს ესაუბრება. ტაქსისტი სიტყვაუხვი და ლაპარაკის მოყვარული აღმოჩნდა, იმავდროულად კი სიმპათიურად განწყობილი ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

— საქართველოში ექს-პრეზიდენტს უბრალოდ მიშას უწოდებენ. გვარ-სახელით მას მხოლოდ შეურიგებელი ოპოზიციონერები მოიხსენიებენ. მიშას მხარდამჭერები ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა, თუმცა უმრავლესობაში აღარ არიან, — აღნიშნავს ავტორი.

ტაქსისტი რუს სტუმარს, სანამ სასტუმრომდე მიიყვანს, მიშას მიერ საქართველოს აღმშენებლობაში შეტანილ წვლილზე უყვება — როგორ ააშენა და დაამშვენა ქვეყანა მიხეილ სააკაშვილმა, როგორ იხსნებოდა ყოველდღიურად ახალ-ახალი გზები და სხვა ობიექტები, როგორ გაჩნდა ჩაბნელებულ ქვეყანაში ელექტროენერგია და ა.შ.

ავტორი ესაუბრება ნანა დევდარიანს, რომელიც საქართველოში პარლამენტის წევრიც იყო, სახალხო დამცველიც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც, დღეს კი არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრს“ ხელმძღვანელობს... საუბრის თემა მიხეილ სააკაშვილის პერსპექტივაა — დაბრუნდება თუ არა იგი სამშობლოში, გადმოსცემს თუ არა უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ექს-პრეზიდენტს. ნანა დევდარიანის თქმით, მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები საქართველოში, მაგრამ მისი რეიტინგი უკვე კატასტროფულადაა დაცემული — ადრე მას მხარს მოსახლეობის 90% უჭერდა, ახლა კი 11-12%.

— ჩვენთან ზვიად გამსახურდიასაც თავისი მომხრეები ჰყავს. იგი, მართალია, შეცდომებს უშვებდა, მაგრამ სამშობლო გულწრფელად უყვარდა და პატრიოტი იყო, მიხეილ სააკაშვილი უფრო კოსმოპოლიტია, ვიდრე პატრიოტი.

რუსი ჟურნალისტი შეხვდა ასევე ახალგაზრდა ბლოგერს გიორგი მდივანს, რომელსაც ფეისბუქში Politicano-ს გვერდი აქვს გახსნილი და ალექსანდრე ლომიას — „პატრიოტთა ალიანსის“ საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელს. მათთან საუბრის თემა კვლავ მიხეილ სააკაშვილი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ მოქალაქეთა კავშირივით დაამთავრებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებით, პარტია არ მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ამ პარტიის პარტნიორი ორგანიზაციის, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ შოთა მალაშხიას.**

**შოთა მალაშხია:**

— მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი, ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა. ეს ზნეობრივადაც მართებულია, პოლიტიკურადაც და ემოციურადაც.

***— თუმცა, არჩევნების შედეგების მიმართ პროტესტის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა შედის საკრებულოებში. თქვენ თავის დროზე მათი პარლამენტში შესვლის წინააღმდეგი იყავით..***

— პარლამენტში შესვლას სულ სხვა დატვირთვა აქვს. თუ არჩევნების შედეგს არ ეთანხმები, საკანონმდებლო და პოლიტიკურ ორგანოში ყოფნას არ უნდა დათანხმდე. ეს ნიშნავს იმას, რომ იქ ყოფნით ამართლებ ყველაფერს, რასაც ხელისუფლება აკეთებს — კონსტიტუციის მიღებით დაწყებული, ყველა სფეროში პოლიტიკის განსაზღვრით დამთავრებული.

***— საკრებულოებში ყოფნა აუცილებელია?***

— საკრებულოებში ყოფნა არ გულისხმობს ყველაფრის პოლიტიკურად „გაპრავებას“. ოპოზიციონერები საკრებულოებში შეასრულებენ მაკონტროლებლების ფუნქციას და ხალხს გამოუტანენ ინფორმაციას. ამიტომ, სწორად მიმაჩნია, რომ ნაციონალები, რომლებთან ერთადაც ამ არჩევნებში ერთ ბლოკში ვიყავი, თანხმდებიან საკრებულოებში შესვლას და არ თანხმდებიან მეორე ტურს.

***— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, მიიჩნევთ, რომ არჩევნები გაყალბდა. აისახა თუ არა ეს შედეგზე?***

— ეს შედეგი არ გამოხატავს ხალხის ნებას. ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებზე მოვიდა ამომრჩეველთა 45%. აქედან „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა 55%-მა. ეს მოსახლეობის 25%-ია. ამ 25-დან 15%-ის მონაცემები ყალბია. ხელისუფლებამ კარგად ისარგებლა დიდი ფულით, ადმინისტრაციული რესურსით, ასევე კრიმინალური სამყაროს დახმარებით.

***— კრიმინალური სამყაროს დახმარებაში რას გულისხმობთ?***

— თბილისის არჩეული მერი ამაყობს თავისი კავშირებით შავი სამყაროს წარმომადგენლებთან და მას იყენებს კიდეც. ზოგადად, ხელისუფლებაში არიან ქუჩის მენტალიტე-



ტის ადამიანები. ასეთები სახელმწიფოს როგორ გააძლიერებენ? „ქართული ოცნებისათვის“ ეროვნული გმირია ვლადიმერ ბედუკაძე, რომელიც ისევ სახელმწიფო დაცვით დადის. ამ ხელისუფლების სახეა მანანა ბერიკაშვილი, რომელიც ცილისმწამებელია. ის 2012 წელს ბავშვის მკვლელობას აბრალებდა ნაციონალურ მოძრაობას. მანანა ბერიკაშვილი კვლავინდებურად კულტურის მინისტრის მოადგილეა. „ოცნებამ“ ხალხს გააკეთებინა არჩევანი არა თავისუფლების, არამედ, მონობის სასარგებლოდ. მონობაში აღმოჩნდნენ არა მარტო ისინი, ვინც არჩევნების წინ დააშინეს, მოისყიდეს, ან უბანზე მკაცრად გააკონტროლეს, არამედ ისინიც, ვინც გაბრიყვდა. ზუსტი ინფორმაცია მაქვს იმაზე, რომ იმ სოფლებში, რომლებიც თბილისს შემოუერთეს, დარიგდა შეშა და ფული. ყველამ ვნახეთ კადრები, როგორ არიგებდა ერთ რეგიონში საარჩევნო უბანში მმართველი პარტიის წარმომადგენელი ფულს პირდაპირ საარჩევნო უბანზე და თან ირწმუნებოდა, წყლის ფულიაო. შეუძლებელია, ამ ყველაფერს ადამიანმა მუდმივად უყუროს და ეს ითმინოს. ხალხის უკმაყოფილება უფრო და უფრო მატულობს. ერთხელაც, ეს იფეთქებს.

***— ხალხის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს ის, რომ საყოველთაო სიღარიბის ზრდის ფონზე, უცებ მდიდრდებიან თანამდებობის პირები და პარლამენტის წევრები, რომლთა ბოლო დროს შეძენილი უძრავი ქონება იმხელაა, რომ აღრიცხვა ჭირს.***

— ქუჩის მენტალიტეტი, რომელიც ამ ხელისუფლებას ახასიათებს, შორსაა სახელმწიფოებრივი მიდგომებისგან. ამიტომ ინგრევა სახელმწიფო ინსტიტუტები — საბაჟო, პოლიცია და სხვა. ეკონომიკა უარესდება. „ოცნება“ ნაცმოძრაობას აკრიტიკებდა, შვილებს ამხელა ვალი დაუტოვაო. არადა, თვითონ ვალი გაზარდა. თუ ადრე მშპ-ის 34% იყო, ახლა 47%-ს შეადგენს. წინა ხელისუფლების დროს ვალით გზები იგებოდა, ინფრასტრუქტურა ეწყობოდა, ახლა, ფაროსანასაც ვერ მოუარეს.

***— ფაროსანა უკვე თბილისსაც მოედო.***

— მოედებოდა, აბა რა, როცა სახელმწიფოზე არ ზრუნავ, არაფერს გააკეთებ! თუ ადრე ფული გზების დაგებაზე მიდიოდა, ახლა ძირითადად ჯიბეებში ჩადის. ლამის ყველგან კორუფცია ყვავის. აქედან ჩნდებიან ძალიან მდიდრები, რომლების ერთ-ორ წელიწადში ნაშოვნი ქონება ასე აღიზიანებს მოსახლეობას. „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა იმის საპირისპირო, რასაც ხალხს ჰპირდებოდა — თავისუფლების ნაცვლად, მონობაში ჩააგდო, ეროვნული ღირსების დამკვიდრების მაგივრად, სახელმწიფო მოუსპო, დემოკრატიული დასავლეთისკენ სვლის მაგივრად, რუსული ყაიდის არადემოკრატიული წყობა შეუქმნა.

***— ამ არჩევნების შემდეგ ისევ აქტუალური გახდა პოლიტიკური ველის მოსუფთავების თემა. არაერთი ექსპერტი მოუწოდებს სუსტ პარტიებს, რომლებმაც არჩევნებში კარგი შედეგი ვერ აჩვენეს, დატოვონ პოლიტიკა. გამოითქმის აზრი, რომ ეს მოწოდებები პირადად ბიძინა ივანიშვილის დაკვეთაა.***

— ტერმინი „სუსტი პარტია“ არ არის სწორი. „ქართულ ოცნებას“ სხვა პარტიებთან შედარებით უზარმაზარი, ასჯერ მეტი დაფინანსება აქვს. შედარება ასეთია 1: 100. თუ ადმინისტრაციულ, საბიუჯეტო, კრიმინალურ და სხვა ფაქტორებს დავუმატებთ, მმართველი პარტიის უპირატესობა ათასჯერ მეტი გამოვა. მმართველ პარტიას სხვა ორგანიზაციებთან შედარებით ათასჯერადი უპირატესობა აქვს და მათ მოუწოდებს, პოლიტიკიდან წავიდნენ. საინტერესოა, „ქართული ოცნება“ რომ ამყოფო ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ე.წ. სუსტი პარტიები არიან, რა მოუვიდოდა? ეს პარტია ხუხულასავით დაიშლებოდა. ეს პარტიები კი არა, „ოცნება“ უნდა წავიდეს პოლიტიკიდან. „ქართული ოცნება“ მოქალაქეთა კავშირივით დაამთავრებს.

***— ამ პარტიისაგან არაფერი დარჩება?***

— მოქალაქეთა კავშირიც ფულის კეთებაზე იყო გადასული და ხალხთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. განსხვავება ისაა, რომ მოქკავშირი დანგრეულ ქვეყანაში მოვიდა, „ქართული ოცნება“ კი აწყობილში და მეტს იპარავს.

***— არჩევნების გამო გამოსვლები მოსალოდნელი არაა?***

— ზოგადად, ხალხის პროტესტი მოსალოდნელია. უკმაყოფილება იზრდება. გამოსვლები შეიძლება დაუკავშირდეს არჩევნებს, ან არ დაუკავშირდეს. ხალხის მოთმინების ფიალა ივსება და არავინ იცის, როდის გადმოიღვრება.

# ანა ნაცვლიშვილი: „არჩევნებზე კოორდინატორები ამომრჩევლებს აკონტროლებდნენ“

ნათია ხურცილავა

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 21 ოქტომბრის არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებზე საუბრობს.**



***– ქალბატონო ანა, როგორ შეაფასებთ საარჩევნო პროცესს, რამდენად იყო თავისუფალი, დემოკრატიული, არის თუ არა 21 ოქტომბრის არჩევნები, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, წინ გადადგმული ნაბიჯი თუ პირიქით?***

– პირველ რიგში, ამ არჩევნებზე დაფიქსირდა სახეცვლილი მანკიერი ტრადიციის გაგრძელება, რომელსაც ჩვენ წლების განმავლობაში საარჩევნო უბნებს გარეთ ვაფიქსირებდით, როდესაც პარტიული კოორდინატები, არა მხოლოდ სახელისუფლო, არამედ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც, კალმებითა და ფურცლებით შეიარაღებულები იდგნენ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიებზე და აღრიცხავდნენ, ვინ მოდიოდა არჩევნებზე. შემდეგ ხდებოდა რეკვები სახლებში, შეხმიანება იმ ადამიანებთან, ვისაც ჯერ თავისი არჩევანი არ ჰქონდა გაკეთებული. ამ პრაქტიკაზე, მანკიერ პრაქტიკაზე წლების განმავლობაში ვსაუბრობდით, მაგრამ განსხვავება, რაც წლევანდელმა არჩევნებმა გვაჩვენა, იყო ის, რომ ამ კონტროლის პროცესმა უბნის შიგნით გადმოინაცვლა. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის თანამონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციაც აღმოჩნდა.

გასულ წლებში, კომისიის თავმჯდომარეებსა და ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაციას არგუმენტი ჰქონდა, რითიც ასაბუთებდა, თუ რატომ ვერ ერეოდა ამ პროცესში. წელს ვიხილეთ, რომ ეს პროცესი უბნის შიგნით შემოვიდა და მისი თანამონაწილე გახდა თავისი უმოქმედობით და ამ პროცესის გამართლებით საარჩევნო ადმინისტრაცია. ეს პროცესი განსაკუთრებით მასშტაბურად თბილისში დავაფიქსირეთ, სადაც „ოცნების“ კოორდინატორები ადამიანების მონაცემებს აქტიურად აღრიცხავდნენ და გარეთ მყოფი კოორდინატორები შემდეგ ჯერ არ მისული ამომრჩევლის მობილიზებას ახდენდნენ. რეგიონებში ჯერ კიდევ ძველი პრაქტიკა რჩება, როდესაც კოორდინატორები გარეთ დგანან.

***– ძალიან ბევრი ინტერპრეტირება მოჰყვა, იყო თუ არა კანონდარღვევა, უშვებს თუ არა ასეთ ლავირებას კანონი?***

– ეს არის ამომრჩევლის ნების კონტროლი, რაც არის დაუშვებელი. ადამიანს აქვს სრული თავისუფლება როგორც ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებული, ასევე საერთაშორისო სტანდარტით. ადამიანი არის თავისუფალი, საერთოდ წავა თუ არა არჩევნებზე და ვის მისცემს ხმას. სწორედ ამ ფუნდამენტურ პრინციპს აზიანებს ეს ყველაფერი. საარჩევნო კოდექსი, მათ შორის ცესკოს დადგენილება ცალსახად ამბობს, რომ სამაგიდო სია, სადაც სისტემურად ხდებოდა ჩახედვა და ადამიანების მონაცემების ამოღება, ეს იყო დაუშვებელი, რადგან სამაგიდო სია არ არის საჯარო დოკუმენტაცია. შესაბამისად, ასეთი ტიპის წვდომა ანუ მუდმივი წვდომა ამ სიაზე და იქიდან მონაცემების შეგროვება წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. ასევე საინტერესოა, რა მიზნით ხდებოდა ამ მონაცემების შეგროვება?!

***– მიზანი რა შეიძლება ყოფილიყო?***

– ჩვენ ვნახეთ არაერთი შემთხვევა რეგიონში, როდესაც ეს ადამიანები ამ კითხვაზე პასუხებს ვერ სცემდნენ და იძაბებოდნენ კიდეც. ხომ ძალიან არა ლოგიკურია, რომ ამდენი ადამიანი მობილიზებული იყო დილიდან საღამომდე და უმიზნოდ აგროვებდა ამ ინფორმაციას. ეს ხომ არავის არ სჯერა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან რთულად დასაჯერებელია. ჩვენმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს უბნის გარეთ მიმდინარე საუბრები, როდესაც აქცენტი იყო: ვინ მოვიდა და ვინ არა, შემდეგ მათ მოყვანაზე იყო საუბარი. ჩვენს დამკვირვებელს თბილისში, ერთ-ერთმა გაბრაზებულმა კოორდინატორმა პირდაპირ უთხრა, რომ ინფორმაციას აგროვებს იმიტომ, რომ ამომრჩევლის კონტროლი მოახდინოს. ზუსტად ეს სიტყვა „კონტროლი“ იყო გამოყენებული.

ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ამ არჩევნებზე გამოჩნდა. ამ გარემოების დატოვება რეაგირების გარეშე, ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების იდეაზე.

***– ხომ არ აპირებთ პარლამენტისთვის მიმართვას, კანონპროექტის ინიცირებას, რომ საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ამომრჩევლის დაცვა, რომ საარჩევნო პროცესში თუ უშუალოდ არჩევანის გაკეთებისას, არ მოხდეს პირის იდენტიფიცირება?***

– ჩვენ, რასაკვირველია, ვიფიქრეთ ამაზე, რა დამატებითი მექანიზმების შემოღება არის შესაძლებელი. თუმცა, უკვე მოქმედი კანონმდებლობით რაც მოხდა, არის უკანონო. ხელისუფლების წარმომადგენლები საკითხს აყენებენ, მცდელობა აქვთ, რომ თითქოს, საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობდა, ეს მოქმედება შეეზღუდათ და ახლა არის საჭირო რაღაცის დამატება, ეს მთლად ასე არ არის. შეიძლება უფრო გაძლიერდეს ამომრჩევლის დაცვის გარანტიები, მაგრამ უკვე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზეც სრულიად შესაძლებელი და აუცილებელი იყო, რომ ცესკოს აღეკვეთა ის მოქმედება, რასაც ადგილი ჰქონდა.

***– ცესკოს თუ მიმართეთ რეკომენდაციით?***

– დიახ, საჯაროთაც და წერილობითაც, მაგრამ მათი მხრიდან გამოხმაურება მივიღეთ ჩვენც და საზოგადოებამაც, რომ თურმე ეს არანაირ კანონდარღვევას არ წარმოადგენდა.

***– ქალბატონო ანა, თიანეთში განვითარებულ მოვლენებზეც მინდა გკითხოთ, როგორც ვიცი, თამაზ მეჭიაურს თქვენი ორგანიზაცია უწევს ადვოკატირებას. რამდენად იყო მართლაც ხელოვნური ჩარევა და მოახდინა თუ არა ამან რეალურ შედეგებზე გავლენა?***

– ყველა ნიუანსის გააზრებით და იმ თანმიმდევრობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მართლაც ძალიან სერიოზული ეჭვი ჩნდება, რომ მოხდა ხელოვნური ჩარევა არჩევნების შედეგების შესაცვლელად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საარჩევნო კანონმდებლობის ძალიან სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი და იკვეთება ქმედებები, რომელიც შესაძლოა ასევე წარმოადგენდეს სისხლის სამართლის დანაშაულს. ამიტომ, ჩვენ შეგვაქვს სარჩელი სასამართლოში და ვითხოვთ თიანეთის ოლქის მიერ მიღებული ორი განკარგულების ბათილად ცნობას. ასევე, ჩვენ მივმართავთ პროკურატურას, რათა დაინტერესდეს ამ ფაქტებით.

უბნის დონეზე, როდესაც დათვლა მოხდა, კომისიის წევრებს არავის პრეტენზია არ დაუფიქსირებია. რაც დაითვალა თითოეულ უბანზე შედეგები, უპირატესობა დაფიქსირდა ბატონი თამაზის სასარგებლოდ, მაგრამ ერთ-ერთ უბანზე, როდესაც შეჯამდა პროცესი, მიჩნეულ იქნა 24 ბიულეტენი ბათილად. ამასთან დაკავშირებით არც ერთ კომისიის წევრს, არც ერთ სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელს, არც ერთი სუბიექტის წარმომადგენელს არ დაუფიქსირებია არც წერილობითი და არც ზეპირი პრეტენზია, რომ იქ რაიმე არასწორად მოხდა. ერთხმად იქნა მიჩნეული, რომ ეს 24 ბიულეტენი ნამდვილად იყო ბათილი. მას შემდეგ, რაც ეს შედეგები უბნიდან გადავიდა ოლქში, აღმოჩნდა, რომ ამ 24 ბიულეტენიდან 5 ნამდვილად იქნა მიჩნეული და სწორედ ამან გადაწყვიტა შედეგების ბედი. ძალიან საეჭვო ვითარებაში მოხდა 5 ბათილად მიჩნეული ბიულეტენის ნამდვილად ცნობა.

საჩივარი, რომლის საფუძველზეც მოხდა ბიულეტენების გახსნა, გადათვლა და ნამდვილად მიჩნევა, დაიწერა წესის დარღვევით და იყო დაუსაბუთებელი, თუმცა დაკმაყოფილდა. ოლქში განხილვა წარიმართა დარღვევებით. სრულიად მიუღებელია, რომ ოლქში სხდომა გაიმართა პოლიციით გარშემორტყმულ შენობაში, სადაც არ უშვებდნენ კომისიის წევრებს, სუბიექტის წარმომადგენელს, არ მომხდარა უბნის კომისიის წევრების დაბარება, ანუ პროცესი ჩატარდა ყველა წესის დარღვევით, გაუმჭვირვალედ და ამ პროცესზე მოხდა ბიულეტენების აღდგენა მკვდრეთით.

***– ხელახალ კენჭისყრას ითხოვთ?***

– არა, ჩვენ ვითხოვთ უკანონო გადაწყვეტილების გაბათილებას. ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე ავტომატურად დგება ის შედეგი, რომელიც დგებოდა ხელოვნურ ჩარევამდე, რომლის მიხედვითაც თამაზ მეჭიაურს აქვს უფრო მეტი ხმა მიღებული, ვიდრე მის კონკურენტს.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# „მიშა დღეს „უსახელურო ჩემოდანს“ ჰგავს, გადაგდება გენანება, ტარებით კი ვერ ატარებ“

ლის სამომავლო პერსპექტივაა. გიორგი მდივანის აზრით, ექს-პრეზიდენტი უკვე პოლიტიკურ გვამს წარმოადგენს, ალექსანდრე ლომია კი განმარტავს, თუ რატომ არ სურს სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება, თუმცა უკრაინას მის გადმოცემას მაინც სთხოვს:

– ჩვენს ხელისუფლებას მისი დაპატიმრება არ სურს. ხელისუფლებას ზეწოლისა ეშინია... ვაითუ იძულებული გავხდეთ და გავათავისუფლოთო. ან წამებულის შარავანდედი შევუქმნათო.

როგორც ჩანს, უკრაინა მიშას საქართველოს არ გადასცემს, რასაც ზოგი სიხარულით, ზოგიც კი სინანულით აღიქვამს. ამჟამად მიშა „უსახელურო ჩემოდნის“ ამპლუაში გამოდის: მისი გადაგდება გენანება, ტარებით კი ვერ ატარებ. გარდა ამისა, არის ერთი ნიუანსიც: „თუ მიშას ციხეში ჩასვამ, საზოგადოებას ამით აჩვენებ, რომ თურმე ქვეყნის ყოფილი ლიდერების დაპატიმრებაც შესაძლებელია, ანუ ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახული იქნება. მაგრამ ვაითუ შემდეგ იგივე ხალხმა, დღევანდელი ხელისუფლების წასვლის შემდეგ, მათი დაპატიმრებაც მოითხოვონ? ასე რომ, უმჯობესია ექს-პრეზიდენტის ფიგურა ხელშეუხებელი იყოს“.

ავტორი ვრცლად გადმოსცემს თბილისური რესტორან-კაფეების მენიუს, ესაუბრება რუს ტურისტებს, რომლებსაც საქართველოს შესახებ საუკეთესო შთაბეჭდილებები აქვთ. იგი ხაზს უსვამს რუსი ტურისტების ნაკადის სწრაფ ზრდას, სტატისტიკურ მონაცემებს... ბათუმში ყოფნისას ალექსანდრე გრიშინი ყურადღებას აქცევს ქალაქის ახალ მშენებლობებს, მრავალრიცხოვან უცხოელ ინვესტორებს...

* * *

პუბლიკაციის მეორე ნაწილში ავტორი საქართველოში პოლიტიკურ სიტუაციას ეხება, განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ქართველი პოლიტიკოსების დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ.

– დღეს საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელიც რუსეთთან მეგობრობისთვის მზად იქნება. რუსეთი ქართული საზოგადოების თვალში მტერი და აგრესორია, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული. თვით „პატრიოტთა ალიანსიც“ კი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრედ გამოდის, თავის მიერ გატარებულ პოლიტიკას პრორუსულად კი არა, პროქართულად მიიჩნევს. „პატრიოტები“ თვლიან, რომ საქართველოს თავის ყველა მეზობელთან, მათ შორის რუსეთთანაც, ნორმალური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. ამის მიუხედავად, „პატრიოტთა ალიანსს“ პარლამენტშიც და მასმედიაშიც „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყი მიაწებეს, – აღნიშნავს ავტორი და იქვე იხსენებს „უჭკვიანეს პოლიტიკოსს“ ნინო ბურჯანაძეს, რომელიც სწორედ რუსეთის საკითხმა „გატეხა“: მან საკუთარ პოლიტიკურ ბედს თვითონ გამოუტანა განაჩენი, როცა რუსეთთან დაახლოებაზე დაიწყო ლაპარაკი.

პუბლიკაციაში გადმოცემულია ალექსანდრე ლომიას, ნანა დევდარიანის, მალხაზ გულაშვილის (მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ მფლობელის), გია ხუხაშვილის (ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩევლის) და სხვათა თვალსაზრისები, რომლებიც ვრცლად საუბრობენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის ევროატლანტიკურ პერსპექტივებზე.

აი, ამონარიდები სტატიიდან:

– ჩემთან მოსაუბრეების თვალსაზრისები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა მე მათ სრულიად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე შევხვდი. რომანტიულად განწყობილები ჯერ კიდევ თვლიან, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება, სკეპტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ სანამ საქართველოს კონფლიქტები (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) არ მოგვარდება, მანამ ნატოში გაწევრიანებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

საინტერესოა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც საქართველოს თავის წევრად არ ღებულობს, ამ ქვეყანას მაინც ყველანაირად იყენებს, მაგალითად, ავღანეთის ოპერაციებში, სადაც ასობით ქართველი ჯარისკაცია გაგზავნილი.

– ჩვენ ნატოსთვის იაფი საზარბაზნე ხორცი ვართ, – თვლის გია ხუხაშვილი, – დასავლეთს ჩვენ მიმართ კონკრეტული პოლიტიკური ინტერესი აქვს: მას სურს, რომ საქართველო, საზარბაზნე ხორცის სახით, რუსეთთან ომის წინა ხაზზე ჰყავდეს, რომ ჩვენგან და უკრაინისგან ბუფერი ჩამოაყალიბოს.

ალექსანდრე გრიშინი ესაუბრება უნივერსიტეტის სტუდენტებსაც, რომლებმაც ბევრი რამ არ იციან საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, მეორე მსოფლიო ომში შეტანილ ქართველთა წვლილზე. ავტორი სინანულით აღნიშნავს:

– შეიძლება სტუდენტების ასეთი უცოდინარობა საქართველოს ევროპულ არჩევანს დავაბრალოთ, რომელსაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი ეწინააღმდეგება. ილია მეორეს გიგანტური ავტორიტეტი აქვს, მაგრამ მას ებრძვიან – ებრძვიან დასავლეთიდან, ნატოდან... ეკლესიაშიც განხეთქილება მწიფდება. უკვე დანიშნულია ნატოს კურატორი, რომელიც ღრმად პატივცემული პატრიარქის სიკვდილს ელოდება, რათა დაპირისპირების ინიციატივა მოახდინოს. და თუ ეს მოხდება, ნაკლები მოწინააღმდეგე ეყოლება. პრინციპში, მთავარი პრაქტიკულად უკვე მიღწეულია: ახალგაზრდა თაობა საკუთარი ქვეყნის ისტორიას და თავისი გმირებს არ იცნობს. მათი მახსოვრობა განადგურებულია. არადა, ასეთი რამ კავკასიელებისთვის ადრე დამახასიათებელი არ იყო...

– ქართველები თანდათან ივიწყებენ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნულ აფორიზმებს... მოვა დრო და, ალბათ, ინანებენ კიდეც, – წერს სტატიის დასასრულს ავტორი.

# უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა კობა ნაყოფიას ქვეყანაში შესვლა სამი წლით აუკრძალა



უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს პარლამენტის დეპუტატს, კობა ნაყოფიას ქვეყანაში შესვლა სამი წლის ვადით აუკრძალა, – ამის შესახებ „უკრაინსკაია პრავდას“ უწყებაში განუცხადეს.

უსაფრთხოების სამსახურის გამოცემისთვის მიწერილ პასუხში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების სამსახურმა 2017 წლის 12 ოქტომბერს, იხელმძღვანელა რა უკრაინის უსაფრთხოების ინტერესებიდან და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ზომებიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, სამი წლით აუკრძალოს კობა ნაყოფიას ქვეყანაში შესვლა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ცხინვალმა ბარსელონაში წარმომადგენლობა გახსნა

შორენა მარსაგიშვილი

**სანამ საქართველოს ხელისუფლება არჩევნების შედეგებით ხიბლშია ჩავარდნილი, ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლება ევროპის დაპყრობას აგრძელებს.**

„ახალი თაობა" უკვე წერდა იტალიასა და სან მარინოში ოსური დიპლომატიის მამის ვიზიტზე. ამჯერად ის ესპანეთს, კერძოდ, კატალონიას ეწვია.

საქართველოს ხელისუფლება არც ამ ფაქტს ჩათვლის საგანგაშოდ და იტყვის, რომ ესპანეთის ხელისუფლება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. ამ განცხადებების ფონზე, ცხინვალმა კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში თავისი წარმომადგენლობა გახსნა.

მანამდე სამხრეთელმა ოსებმა იტალიაში გახსნეს წარმომადგენლობა და სულ ცოტა ხნის წინ ევროპარლამენტშიც იპოვეს წარმომადგენელი.

კატალონიაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა 23 ოქტომბერს გახსნილა. ოსური მედიის ცნობით, ამ წარმომადგენლობას სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კატალონიის ოფისი ერქმევა.

ოფისის გახსნის საზეიმო ცერემონიალს სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევიც ესწრებოდა.



როგორც ოსური მედია საგარეო უწყებაზე დაყრდნობით იუწყება, მედოევმა კატალონიაში სულ ერთი დღით ჩაირბინა.

მედოევის უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მინისტრი კატალონიაში მცხოვრებ თანამემამულეებს შეხვდა.

ოსური მედიის ცნობით, მედოევთან შეხვედრაზე მისული კატალონიელი ოსები, მიუხედავად იმისა, რომ შორს არიან, არ კარგავენ სამშობლოსთან კავშირს. ისინი თურმე ინტერესდებიან ცხინვალის ცხოვრებით და შეაქვთ წვლილი ევროპაში სამხრეთ ოსეთის შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების საქმეში.

– თანამემამულეებთან შეხვედრის დროს მედოევმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ყურადღება ახლა კატალონიისკენ არის მიპყრობილი, რადგან 26 წლის წინ ჩვენმა ხალხმა თავად გაიარა გზა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ, – იუწყება ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საგარეო უწყება.

ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა კატალონიისკენ ყურადღება მას შემდეგ მიმართა, რაც იქ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს.

კატალონიელებს რეფერენდუმის თარიღიც კი არ ჰქონდათ გარკვეული, როდესაც ცხინვალის ხელისუფლებამ ოფიციალური განცხადება გააკეთა. სამხრეთელი ოსები მზად არიან აღიარონ კატალონიის დამოუკიდებლობა.

ოსების პარალელურად კატალონიის აღიარების სურვილი გამოთქვა საქართველოს კიდევ ერთმა ოკუპირებულმა რეგიონმა – აფხაზეთმა. მათი თქმით, კატალონია დამოუკიდებლობას იმსახურებს.

რეფერენდუმის დღეს კატალონიაში შეტაკებებს ჰქონდა ადგილი. ესპანელი სამართალდამცავები ღიად უსწორდებოდნენ რეფერენდუმზე მიმავალ კატალონიელებს. ამ ფაქტმა ცხინვალის და სოხუმის შეშფოთება გამოიწვია. მათ ესპანეთის ხელისუფლების ქმედება ოფიციალური თბილისის გადაწყვეტილებას მიამსგავსეს.

აფხაზი და ოსი ექსპერტების განცხადებით, თავის დროზე მათაც მშვიდობიანად სურდათ დამოუკიდებლობის მოპოვება, მაგრამ ოფიციალურმა თბილისმა მათ ამის უფლება არ მისცა.

* * *

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას კატალონიაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობის გახსნაზე რაღაც რეაქცია მაინც ექნება. მათი მოგუდული და ნაზი პროტესტი უკვე აღარავის ესმის ევროპაში.

# ოქტომბერში ბენზინი და დიზელი საქართველოში 2-4 თეთრით გაძვირდა

„ბოლო თვეების განმავლობაში ნავთობის ფასი იზრდება. კერძოდ, ივლისში ლონდონში Inter Continental Exchange Futures Europe-ზე(ICE Futures Europe)-Brent ტიპის ნავთობის ფასი შეადგენდა საშუალოდ 48-49 დოლარს/ბარელზე, აგვისტოში – 51-52 დოლარს/ბარელზე, სექტემბერში – 52-56 დოლარს/ბარელზე, ხოლო ოქტომბერში 56-58 დოლარს ბარელზე.

მიმდინარე პერიოდში ნავთობის ფასის ზრდის ტენდენცია უკავშირდება რამდენიმე ფაქტორს:

კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ოპეკის წევრი და არაწევრი ქვეყნების მიერ ნავთობის



მოპოვების შემცირების შეთანხმების შესრულების დონე, რომლის პროცენტულმა მაჩვენებელმა სექტემბერში რეკორდულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია – 120 %-ს (აგვისტოში – 116%). აღნიშნული შეთანხმების შესრულება ხელს უწყობს მსოფლიო სანავთობო ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის ბალანსის აღდგენას.

ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ასევე ერაყის ქურთისტანში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც საფრთხეს უქმნის აღნიშნული მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი რეგიონიდან ნავთობის ექსპორტს.

ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ ტრამპის მიერ ირანთან დაკავშირებით მძაფრი პოლიტიკური განცხადებები მის წინააღმდეგ შესაძლო ახალი სანქციების დაწესების შესახებ.

ნავთობის ფასის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ასევე აშშ-ში ბოლო პერიოდში ზედიზედ რამდენიმეჯერ ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილების მუშაობის შეწყვეტის დაფიქსირება.

რაც შეეხება საქართველოს საცალო ქსელს, ოქტომბერში დაფიქსირდა რეგულარი ტიპის ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასის ზრდა საშუალოდ 2-4 თეთრით ლიტრზე.

# „მანქანით, რომელიც ქინვალთან დაიწვა, თამაზ მეჭიაურის აპირებდა წამოსვლას"

დასაწყისი მე-2 გვერდზე



დინარე, ისინი ჩაერთვნენ პროცესში. ჩაერთვნენ დამკვირვებლებად, არცერთ მხარეს არ წარმოადგენდნენ. მათ ჩათვალეს, რომ მეჭიაურის მხარე იყო დაჩაგრულ მდგომარეობაში.

ავტომანქანის დაწვასთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება დაიწყო. როგორც

უწყებაში ამბობენ, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, რა გახდა ავტომობილის დაწვის მიზეზი.

მომხდართან დაკავშირებით საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, ჩადენილს ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

მანქანის დაწვის ფაქტს საეჭვოს ხდის ის გარემოებაც, რომ ინციდენტი სასამართლოს სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა. ამ სასამართლოზე კი მახარე სისაური მოწმე იყო.

მცხეთის სასამართლომ გუშინ, 24 ოქტომბერს, დაიწყო თამაზ მეჭიაურის საქმის განხილვა. სასამართლო განაჩენს დღეს, 25 ოქტომბერს, 13.00 საათზე გამოაცხადებს.

სასამართლო დავაში ქცეულ თიანეთის მერის არჩევნებში ორი კანდიდატი – ლელა ქიტესაშვილი და თამაზ მეჭიაური – მონაწილეობდა. ეს უკანასკნელი საკუთარ პარტიას წარმოადგენდა, მისი კონკურენტი კი „ოცნების" რჩეული იყო.

არჩევნების მეორე დღეს, 22 ოქტომბერს, ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, თამაზ მეჭიაურს 50.06% ჰქონდა, ლელა ქიტესაშვილს კი – 49.94%.

რამდენიმე საათის შემდეგ ცესკომ მონაცემები შეასწორა და ლელა ქიტესაშვილს 3.081 ხმა მიაკუთვნა, თამაზ მეჭიაურს კი – 3.077.

22 ოქტომბერსვე ცესკომ სადავო, მე-20 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს თან თიანეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დაურთო, რომლის მიხედვითაც, კომისიამ „ოცნების" წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე ხელახლა გადათვალა მე-20 საარჩევნო უბანზე ბათილად მიჩნეული ბიულეტენები, საიდანაც 5 იყო სადავო და, კომისიის განმარტებით, რადგან ხუთივეზე ფიქსირდებოდა ამომრჩევლის ნება, კომისიამ იმსჯელა თითოეულის ბათილობის თაობაზე, ხმათა უმრავლესობით აღნიშნული ბიულეტენები მიიჩნია ნამდვილად, ისინი გააცოცხლა და 5 ხმა ლელა ქიტესაშვილს დაუმატა.

ამის წყალობით „ოცნების" კანდიდატმა 3.081 ხმა მოიპოვა, თამაზ მეჭიაურს კი 3.077 დარჩა. შესაბამისად, ქიტესაშვილმა მეჭიაურს 4 ხმით გაუსწრო და, ცესკოს წინასწარი მონაცემებით, 50.03%-ით პირველივე ტურში გაიმარჯვა.

თამაზ მეჭიაური ამასთან შეგუებას არ აპირებს. მისი განცხადებით, საოლქო კომისიამ მერის არჩევნების შედეგების შეცვლის გადაწყვეტილება მაჟორიტარი დეპუტატის ზაქარია ქუცნაშვილის დავალებით მიიღო.

მეჭიაური ამბობს, რომ ქუცნაშვილის მოთხოვნით მოხდა კენჭისყრის დასრულების შემდეგ საოლქო კომისიასთან სპეცრაზმის მობილიზებაც. მეჭიაურმა საოლქო კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოშიც გაასაჩივრა და არჩევნებში გამარჯვებულად ცნობა მოითხოვა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ არასამთავრობოების დიდი ნაწილი თამაზ მეჭიაურის მხარეს დადგა. მის ინტერესებს ახალგაზრდა იურისტებიც იცავენ.

ლელა ქიტესაშვილის განცხადებით კი მე-20 ოლქში არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ის ამტკიცებს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა და სჯერა, რომ სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს.

# ქუთაისსა და მარტვილში მეორე ტური მაინც გაიმართება




ნაციონალური მოძრაობის მიერ მერების არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის მიუხედავად, ქუთაისსა და მარტვილში არჩევნების მორიგი რაუნდი მაინც გაიმართება.

შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მეორე ადგილზე გასული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენებში მაინც იქნებიან წარმოდგენილი.

„საარჩევნო კოდექსის" მიხედვით, კანდიდატს უფლება აქვს, თავისი კანდიდატურა კენჭისყრის დღემდე, არაუგვიანეს 12 დღისა, მოხსნას, რისთვისაც მან სათანადო განცხადებით შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს, მაგრამ წესი არჩევნების მეორე ტურზე არ ვრცელდება.

როგორც ცნობილია, ნაციონალური მოძრაობა ქუთაისისა და მარტვილის მერის არჩევნების მეორე ტურში გავიდა. მათმა კანდიდატებმა „ქართული ოცნების" კანდიდატების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს, თუმცა პარტიამ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვა.

# გიგა ბოკერია ნაცმოძრაობის შესახებ – ეს გადაწყვეტილება სერიოზული შეცდომაა



– ეს გადაწყვეტილება არის სერიოზული შეცდომა სრული პოლიტიკური უფლება გვაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება შევაფასოთ, როგორც სერიოზული შეცდომა და ირიბი ხელშეწყობა ივანიშვილის გუნდისთვის დაინერგოს უიმედობა არჩევნების მიმართ, - ასე გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია „ნაციონალური მოძრაობის" გადაწყვეტილებას თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით.

– ეს გადაწყვეტილება არის სერიოზული შეცდომა. ჩვენ ყველას გვაქვს საფუძველი აღშფოთების იმ ინსტრუმენტების გამო, რასაც „ოცნება" იყენებს საარჩევნოდ და მთავარი ინსტრუმენტი მათი არის უიმედობის დანერგვა არჩევნების მიმართ. ჩვენი გადაწყვეტილებებით დემოკრატიულმა ოპოზიციამ არ უნდა შევუწყოთ მათ ხელი. „ევროპული საქართველოს" პოზიცია იყო და არის, რომ ჩვენ ვაპირებდით ნებისმიერი პროდასავლური კანდიდატის მხარდაჭერას მეორე ტურში. გაუგებარია, როცა ყველა ამას ვაპირებდით ქუთაისი რატომ უნდა იყოს გამონაკლისი, სადაც ოპოზიციამ მეტი ხმის შეგროვება შეძლო. სამართლებრივად ეს „ნაციონალური მოძრაობის" გადასაწყვეტია და ამაში ვერავინ ჩაერევა, თუმცა მეორე ტურები მხოლოდ მათ არ მოუპოვებიათ - მთელმა ოპოზიციამ მოიპოვა, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# მეუფე დიმიტრი დეკანოზ გიორგი მამალაძესთან მატროსოვის ციხეში დღეს შევა



მეუფე დიმიტრი და მამა რევაზ სიხარულიძე დღეს მსჯავრდებულ დეკანოზს, გიორგი მამალაძეს მოინახულებენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საპატრიარქოს პენიტენციურ სისტემასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა, დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, მამა გიორგისთან საპყრობილეში შესასვლელად საშვი ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის დედათა მონასტრის წინამძღვარმა, დეკანოზმა რევაზ სიხარულიძემ გუშინ აიღო.

– მამა რევაზი იმყოფებოდა გუშინ და აიღო საშვი. მეუფე დიმიტრი და მამა რევაზ სიხარულიძე ხვალ შევლენ და მსჯავრდებულს მოინახულებენ, – განაცხადა მამა გიორგიმ.

# ლევან კობერიძე ეროვნულ ბანკს მიმართავს, მოსახლეობას განუმარტოს, რატომ გაუფასურდა ლარი ორ დღეში



„ქართული ოცნების" დეპუტატი ლევან კობერიძე ეროვნულ ბანკს მიმართავს, ლარის გაუფასურების თაობაზე მოსახლეობისათვის განცხადება გააკეთოს და განმარტოს, თუ რატომ მოხდა ორ დღეში ლარის კურსის 4 პუნქტით გაუარესება.

როგორც კობერიძემ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ქვეყანაში არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით რაიმე ისეთი ცვლილება არ მომხდარა, რასაც შეიძლება ლარის კურსის გაუარესება გამოეწვია.

– მესმის, რომ არის და უნდა იყოს მცურავი კურსი. მაგრამ ეროვნული ბანკი მოკლევადიან რყევასთან დაკავშირებით ვალდებულია ჩაერიოს და განმარტება გააკეთოს, თუ რა ხდება. მოსახლეობას შეიძლება შეექმნას იმგვარი განცდა, რომ არჩევნები დამთავრდა და ლარი უფასურდება, – განაცხადა კობერიძემ კომიტეტის სხდომაზე.

# რატომ უთხრეს უარი ბანკებმა ბიზნესმენს ასანთის ქარხნის აშენებაზე?



ბიზნესმენი ემზარ ბასილია სამეგრელოში ქართული ასანთის წარმოების სანაცვლოდ დაფნის ბიზნესს იწყებს. ამის შესახებ „კომერსანტს" თავად ბიზნესმენმა განუცხადა. მისი განცხადებით, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში ბასილიას კომერციული ბანკებიდან ასანთის ქარხნის ასაშენებლად დაახლოებით 2 მილიონი ლარის შეღავათიანი სესხი უნდა მიეღო.

პროექტისთვის კომპანიას, ხობში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 18 136 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცა.

ბასილია ქართული ასანთის წარმოებით იმპორტირებული პროდუქციის სრულად ჩანაცვლებას აპირებდა. 2016 წელს, „კომერსანტის" კითხვაზე, რამდენად მომგებიანი იქნებოდა ასანთის წარმოება იმ დროს, როდესაც ტექნოლოგიები ვითარდებოდა და ასანთი ნაკლებ აქტუალურია, თამაზ ბასილია აცხადებდა, რომ „თითო შეკვრა ასანთი მაინც ყველა ოჯახშია".

ბიზნესმენი აცხადებს, რომ კომერციულმა ბანკებმა სესხი ბიზნესის არარენტაბელურობის გამო არ მისცეს.

– მითხრეს, რომ ასანთის წარმოება არ იქნება მომგებიანი და დაფნის წარმოება შემომთავაზეს. ახლა ამ მიმართულებით ვმუშაობ. ბიზნესგეგმა უკვე წარდგენილი მაქვს და დაფინანსებას ველოდები, – აცხადებს ბასილია.

მისი თქმით, ხობში ქარხნის მშენებლობა უკვე დაწყებულია და მისი დასრულება 2018 წლის გაზაფხულისთვის იგეგმება. ბასილიას განცხადებით, დაფნა დღეს საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია. მისივე მტკიცებით, უკვე მოძიებულია საექსპორტო ბაზრები, მათ შორის, რუსეთი, ევროპის ქვეყნები.

ბასილიას განცხადებით, პროექტში, ასანთის ქარხნის მსგავსად, 1.2 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდება.

შეგახსენებთ, ბიზნესმენმა ასანთის ქარხნის მშენებლობა 2015 წელს დააანონსა, რომელიც შემდეგ დაფნის წარმოების დაწყების იდეით ჩაანაცვლა.

# „თხილის მოსავლის განადგურებას მხოლოდ აზიურ ფაროსანას ნუ დავაბრალებთ"



სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაადასტურა, რომ წელს, წინა წელთან შედარებით, თხილის მოსავალი 20-30%-ით ნაკლები იქნება. თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრე მოწერელიამ რადიო „კომერსანტის" ეთერში თხილის მოსავლის შემცირების მიზეზებზე ისაუბრა და ორი პრობლემა გამოყო.

– თხილის მოსავალი განახევრებულია. ჩვენ ველოდებოდით დაახლოებით 70 ათას ტონას და სამწუხაროდ, 40-50% ამ მოსავლის განადგურებულია. ამ პრობლემას ნუ დავაბრალებთ ფაროსანას, მასაც დიდი წვლილი მიუძღვის მოსავლის გაფუჭებაში, მისი წილი დაახლოებით 15-20%-ია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი პრობლემა, რასაც ჰქვია სოკოვანი დაავადებები და ბაქტერიოზი, რაც არის გავრცელებული და რამაც ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა თხილის მოსავალს. ფაროსანა, რა თქმა უნდა, თხილს აზიანებს, მაგრამ ის მთლიანად ნაყოფს ვერ ანადგურებს, სოკოვანი დაავადება კი მთლიანად ალპობს ნაყოფს და ჩვენს თხილს რაც სჭირს ეს არის მასიური სიდამპლე.

ამის პირველი მაპროვოცირებელია კლიმატური პირობები, რაც ბოლო ორი წელიწადია საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთში გვაქვს და მეორე – ჩვენი ნარგავების მასიური მოუვლელობა. სწორედ ამ უკანასკნელმა შექმნა დაავადების გავრცელების პირობები. მიზეზი ჩვენ არ უნდა ვეძებოთ გარეთ, პირველ რიგში თითოეულმა ფერმერმა უნდა მიხედოს საკუთარ ნარგავებს. რატომლაც გავრცელებულია აზრი, რომ თხილს მოვლა არ სჭირდება და ამასთან მჟავე ნიადაგზე მოხდა ნარგავების დარგვა, უმრავლესობა არის არასწორად გაშენებული, პლანტაციები გაუსხლავია, არის მთლიანად ქიმიურ სასუქებზე, არ ხდება მავნებლებთან ბრძოლა. როდესაც მავნებელს ვერ ერევა მოსახლეობა, მაშინ ერთვება სახელმწიფო. სახელმწიფომ მავნებლად გამოაცხადა ფაროსანა და დაიწყო მასთან ბრძოლის ღონისძიებები. მაგრამ ფაროსანა იმდენად არის მოდებული, მას მხოლოდ სამინისტრო ვერ მოერევა. ფაროსანა თუ აღმოსავლეთ საქართველოში კახეთსა და შიდა ქართლში გადმოვა უფრო დიდ ზიანს მიაყენებს ვენახებს, ვიდრე თხილს.

რაც შეეხება დაავადებებთან ბრძოლას, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო კამპანია, ჩადიან სამეგრელოში, შემდეგ იმერეთსა და აჭარაში, ხვდებიან ფერმერებს და აქვთ ტრენინგი, რა ღონისძიებები უნდა გაატარონ. სოკოვან დაავადებებთან ბრძოლა რთული არ არის, ამას სჭირდება სპილენძის ხსნარით ნარგავების დამუშავება, რატომლაც დასავლეთ საქართველოში ეს საერთოდ უგულებელყოფილია და შედეგიც სახეზე გვაქვს, – აღნიშნა ალექსანდრე მოწერელიამ.

მისივე თქმით, დაბალი ხარისხი მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასის შემცირებაშიც აისახა.

– ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობდით, რომ ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე არის ყველაზე იაფი, რადგან მისმა მოუვლელობამ და მისმა არასტაბილურმა ხარისხმა განაპირობა. ჩვენი მიზანი იყო პრემიუმ კლასში გადასვლა, თუმცა ბოლო მონაცემებით ჩვენ ამაზე ვერც ვიოცნებებთ. ჩვენი თხილის ფასი დღეს მსოფლიო ბაზარზე არის დაახლოებით 5.50 დოლარი, ხარისხიდან გამომდინარე ცუდი ფასი არ არის... თურქულ თხილს ჩამოვრჩებით დაახლოებით 50 ცენტით, – ამბობს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დი-

# რატომ უფასურდება ეროვნული ვალუტა?



„ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურება პოლიტიკის ნაწილია".

ამის შესახებ „არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის" დამფუძნებელმა გივი კორინთელმა „კომერსანტს" განუცხადა.

ეროვნული ვალუტა ბოლო ორი დღის განმავლობაში უფასურდება. 20 ოქტომბრისთვის განსაზღვრული კურსით, ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4863 ლარი იყო, 23 ოქტომბრისთვის – 2.4864 ლარი შეადგინა, ხოლო 24 ოქტომბრისთვის დადგენილი კურსი 2.4894 ლარია. Bloomberg-ის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში კი დღეს 1 აშშ დოლარი 2.5000-2.5300 ლარის ფარგლებში ივაჭრება.

როგორც გივი კორინთელი განმარტავს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, ლარის კურსი სტაბილური იყო და მეორე-მესამე დღიდან გაუფასურება დაიწყო, რაც ბოლო წლების ერთგვარი ტენდენციაა.

– წლებია უკვე ეს პროცესი გრძელდება. ლარის კურსის ასეთი უცაბედი ცვალებადობა რომ ახსნა, სულაც არ არის საჭირო, ფინანსისტი იყო. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ყოველთვის, არჩევნების წინ, ლარი არის კონკრეტულ ნიშნულზე. ასეთ შემთხვევებში საზოგადოება ამბობს, რომ ლარი გარკვეულ ნიშნულზე „დაიჭირეს" და შემდეგ „გაუშვეს". ჩემი პასუხიც არის არა როგორც ამ სფეროს პროფესიონალის, არამედ როგორც რიგითი მოქალაქის, რომ 10-15 წელია ეს ტენდენცია გრძელდება. ამდენი დამთხვევა დაუჯერებელია, რომ ლარი ყოველი არჩევნების წინ იყოს „გაყინული" და მეორე და მესამე დღესვე გაუფასურდეს, – აღნიშნავს კორინთელი.

მისი თქმით, რთულია გაუფასურების მიზეზებზე საუბარი: „ამის ახსნა ბაზრის პროფესიონალებისთვის ძალიან რთულია, რადგან ეს პოლიტიკის ნაწილი უფროა, ვიდრე საფინანსო ბაზრის".

რაც შეეხება მოლოდინებს, ლარის უფრო მეტად გაუფასურებას უნდა ველოდოთ თუ არა, გივი კორინთელი გვპასუხობს, რომ უახლოეს თვეებში, გამორიცხული არ არის, ლარი მაქსიმუმ 2.60-იან ნიშნულზე ავიდეს.

– ეს არის მცურავი კურსი. თავის დროზე, კორიდორი 2.55-ის ფარგლებში იყო განსაზღვრული, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს გაიზრდება. რაღაც პერიოდი იქნება, როდესაც ბაზარზე სპეკულაციური ოპერაციები განხორციელდება და შესაძლებელია, კურსი 2.58-ზე და 2.6-ზეც ავიდეს. დღეს და ხვალ არ მაქვს საუბარი, ეს მოსალოდნელია მთელი ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში. სავარაუდოდ, წლის ბოლოს ლარს დააბრუნებენ 2.50-2.52-ის ფარგლებში და იანვარში ეროვნულ ვალუტას კიდევ ერთი სიძნელე ელის. ამ დროს ზოგადად ბაზარს „სძინავს" და „გამოღვიძება" თებერვლის მეორე ნახევარში ხდება. ამდენად პროგნოზების გაკეთება მარტივი არაა. ეს დამოკიდებულია იმაზე, ეროვნული ბანკის სარეზერვო პოლიტიკა როგორი იქნება. ზაფხულის განმავლობაში რაც დააგროვა, ახლა რამდენად მზად არის, რომ რეალურად ეს ყველაფერი უკან ჩააბრუნოს. ეს უკვე მათი გადასაწყვეტია, – განმარტავს კორინთელი.

# „ავტორიზაციის ახალი სისტემა მოქალაქეებს შენგენის ზონაში შესვლას არათუ გაურთულებს, არამედ გაუადვილებს"



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილის აზრით, ავტორიზაციის ახალი სისტემა მოქალაქეებს შენგენის ზონაში შესვლას არათუ გაურთულებს, არამედ გაუადვილებს.

როგორც მახარობლიშვილმა განაცხადა, წინასწარი ავტორიზაციის გავლა შეამცირებს საზღვრიდან უკან გამობრუნების ალბათობას. მინისტრის მოადგილე საზოგადოებას მოუწოდებს, ნუ გააიგივებენ ევროპული სამოგზაურო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემას (ETIAS) ვიზის დაბრუნებასთან.

– ეს ნამდვილად არ გაართულებს შენგენის ზონაში მოგზაურობას, გარკვეულწილად, ალბათ, გააადვილებს კიდევაც, გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელი მდგომარეობით თუ შესაძლოა მოქალაქეს საზღვარზე შეჰქმნოდა პრობლემა უკან გამობრუნების კუთხით, ამ აპლიკაციის შევსების შემდეგ ეს ალბათობა კიდევ უფრო შემცირდება. შესაბამისად, დაიზოგება თანხაც და დროც. მე მგონი, არ უნდა შევხედოთ ამას კრიტიკული ფორმით. ევროკავშირი უბრალოდ ცდილობს, გააძლიეროს თავისი შიდა უსაფრთხოება და მსგავს ზომას ღებულობს, რაც თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდი ხანია აქვს. ევროკავშირის მოქალაქე როცა მიემგზავრება ამერიკაში, მას არ მოეთხოვება ვიზა, მაგრამ ინტერნეტში ისიც ავსებს რამდენიმე გვერდიან კითხვარს და ელოდება პასუხს. ამიტომ, მე მოვუწოდებდი საზოგადოებას, ნუ გააიგივებენ ამას ვიზის დაბრუნებასთან. ეს არ არის ვიზა, აბსოლუტურად განსხვავებული ფორმატია და ბევრად უფრო ნაკლები მოთხოვნები. უბრალო კითხვარსაც არ დავარქმევდი, გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული შესაბამისი სამსახურების მხრიდან პასუხს მაინც უნდა დაველოდოთ, მაგრამ ეს არ არის ვიზის აღება ან რამე მსგავსი, – განაცხადა ვახტანგ მახარობლიშვილმა.

მინისტრის მოადგილე ხაზს უსვამს, რომ ახალი რეგულაცია ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება კონსულტაციები. ამ ეტაპზე, ევროკავშირს მიზნად აქვს დასახული, რომ ETIAS 2020 წლიდან შემოიღოს, თუმცა ეს ჯერ ფაქტი არ არის.

შეგახსენებთ, რომ ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხების კომიტეტმა (LIBE) 19 ოქტომბერს მხარი დაუჭირა ახალი რეგულაციების პროექტს, რომლის თანახმადაც, მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლისთვის შესაძლოა ავტორიზაციის გავლა მოუწიოთ.

ევროპული სამოგზაურო ინფორმაცია და ავტორიზაციის სისტემა (ETIAS) მოიცავს სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე დარეგისტრირებას, პერსონალური მონაცემების შევსებას, მათ შორის სწავლისა და მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვასა და აპლიკაციის საფასურის – 10 ევროს გადახდას. აპლიკანტი მაქსიმუმ 72 საათში მიიღებს დასტურს ან უარყოფას შენგენის ზონაში შესვლასთან დაკავშირებით. ამასთან, ავტორიზაცია 3 წლის განმავლობაში იქნება მოქმედი. ხოლო 18 წლამდე ახალგაზრდები, 60 წელს გადაცილებული მოქალაქეები, სტუდენტები და მკვლევრები საააპლიკაციო გადასახადისგან თავისუფლები არიან.

საბოლოო დამტკიცების შემთხვევაში, აღნიშნული რეგულაციები 2020 წლიდან ამოქმედდება.

## მკვლელობა კახეთში — 30 წლამდე მამაკაცი თანასოფლელმა დანით მოკლა

კახეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ ქეშალოში, 30 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. როგორც ცნობილია, მაჯით მამედოვს სასიკვდილო ჭრილობა დანით თანასოფლელმა მიაყენა. გარდაცვლილის თანასოფლელების განცხადებით, მკვლელობა ფულის გამო მოხდა.

მათი თქმით, მხარეებს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც მამედოვმა მოვალისგან თანხა მოითხოვა, უარის მიღების შემდეგ კი ფასიანი ნივთების წამოღება ცადა.

მოკლულის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

## 25 წლის ბიჭი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა



გორში მეოთხე სართულიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა ჭალის დასახლებაში 24 ოქტომბერს, გვიან ღამით მოხდა. გარდაცვლილი 25 წლის არის. სუიციდის გამომწვევ მიზეზებს ძალოვანი უწყება სწავლობს. მომხდართან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 11ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## გურჯაანში საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე იატაკი ჩავარდა — დაშავებულია 51 წლის ქალი

გურჯაანში, თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე იატაკის ჩავარდნის შედეგად 51 წლის ქალი დაშავდა.

დაშავებული სხეულის სხვადასხვა დაზიანებითა და მოტეხილობით გურჯაანის ჰოსპიტალშია გადაყვანილი.

## ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულია 1 პირი



შსს-მ დიდუბეში, ვანის ქუჩაზე სპეცოპერაციის დროს ნარკორეალიზატორი დააკავა.

— შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული მ.ა. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 6 ნატეხი და 2 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ დაკავებულის მიერ გაყიდული, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით), — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## საბერძნეთში 5 ე.წ. ქართველი კანონიერი ქურდი 35 ბინის გაქურდვის ბრალდებით დააკავეს

საქართველოს პოლიციის ატაშეს დახმარებით საბერძნეთში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები დააკავეს.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საბერძნეთში 5 ე.წ. კანონიერი ქურდი 35 ბინის გაქურდვისა და მოპარული ნივთების რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს.

— საქართველოს შსს-სა და საბერძნეთის პოლიციის თანამშრომლობის შედეგად, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პოლიციის ატაშეს აქტიური ჩართულობით, საბერძნეთის პოლიციის ატიკის რეგიონული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოთხთვიანი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, უძრავი ქონების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით, საქართველოს 5 მოქალაქე: ე.წ. კანონიერი ქურდი – 1986 წელს დაბადებული ო. დ., 1980 წელს



დაბადებული გ. მ., 1975 წელს დაბადებული ზ. ხ., 1987 წელს დაბადებული გ. გ. და 1977 წელს დაბადებული ს. ს. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ო. დ., თავის ოჯახის წევრთან — ზ.ხ.-სთან და თანამზრახველებთან — გ.მ.-სთან, ს.ს.-სთან და გ.გ.-სთან ერთად, წინასწარ არჩევდა გასაქურდ ბინებს. ბრალდებულები მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ ინფორმაციას აღნიშნული ბინების შესახებ, ქურდავდნენ მათ და მოპარული ნივთების რეალიზაციას ახდენდნენ. დადგენილია, რომ ბრალდებულებს საბერძნეთის რესპუბლიკაში სულ 35 ბინა აქვთ გაქურდული.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება უძრავი ქონების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე მიმდინარეობს (საბერძნეთის სსკ-ს 372-ე და 374-ე მუხლებით), — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## გუკა რჩეულიშვილი „ცენტრ პოინტის“ საქმეზე სასამართლოს ჩვენებას ერთი თვის შემდეგ მისცემს



„ცენტრ პოინტის“ საქმეზე სასამართლო პროცესი ერთი თვით გადაიდო, მიზეზი ბრალდებული გუკა რჩეულიშვილის მოთხოვნა გახდა. მისი თქმით, კომპანიასთან, რომელმაც „ცენტრ პოინტის“ ობიექტები უნდა დაასრულოს, მოლაპარაკებებსა და დეტალების დაზუსტებას კიდევ 3 კვირა დასჭირდება. რჩეულიშვილმა განმარტა, რომ კომპანიებთან მოლაპარაკებები თითქმის დასკვნით ეტაპზეა მისული და მისი ჩვენების შინაარსი სწორედ ამაზეა დამოკიდებული:

— დაახლოებით, სამი კვირა დაგვჭირდება, რომ მყიდველმა ზუსტი მდგომარეობა ბოლო კვადრატამდე შეადაროს. საერთო სურათი შედარებულია, მაგრამ ახლა დეტალების შედარება მიდის, რაც აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად. აქედან გამომდინარე, ჩვენ ერთთვიანი გადადების ვადა მოვითხოვეთ, რამეთუ იმ მომენტამდე ველოდებით, რომ ჩარჩო ხელშეკრულება ჩვენ და მყიდველს შორის დადებული იქნება, გაწელვაზე არ არის ლაპარაკი, გთხოვთ, შემოდით ჩემს მდგომარეობაში და გადავდოთ ერთი თვით პროცესი. ეს შედის როგორც ჩემს, ასევე დაზარალებულების ინტერესში, — განაცხადა გუკა რჩეულიშვილმა.

ბრალდებისა და ასევე დაცვის მხარის მტკიცებით, საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილება, მოლაპარაკებების შედეგზე იქნება დამოკიდებული.

— იმ პოზიციის შემდგომ, რომ იქნება თანხმობა ყველა დაზარალებულის მხრიდან, მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდება, — განაცხადა პროკურორმა დავით გუმბერიძემ.

## საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაშიც მაია რჩეულიშვილი შესაძლოა პატიმრობაში დარჩეს

საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაშიც მაია რჩეულიშვილი შესაძლოა პატიმრობაში დარჩეს. პროკურატურა „ცენტრ პოინტის“ საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეზე აპირებს, რომელზეც მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის მიმართ განაჩენი უკვე დამდგარია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქმის პროკურორმა დავით გუმბერიძემ განუცხადა, საპროცესო შეთანხმება, რომელზეც მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, არ ეხება ბათუმის მაგნოლიასა და დიღმის ობიექტებზე მიმდინარე საქმეებს, რომლებზეც სასამართლო განხილვები ამ ეტაპზე მიმდინარეობს. მაგნოლიას ეპიზოდი უკვე დასკვნით ეტაპზეა და გუშინდელი პროცესი ბრალდებულ გურამ რჩეულიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო. მას სასამართლოზე ჩვენება აქვს მისაცემი, თუმცა, როგორც რჩეულიშვილმა მოსამართლეს განუმარტა, მისი ჩვენების შინაარსი დიდწილად დამოკიდებულია იმ პროცესებზე, რომლებიც „ცენტრ პოინტის“ აქტივების გაყიდვას ეხება. რჩეულიშვილის თქმით, პროცესი, სავარაუდოდ, სამ კვირაში დასრულდება და ყველა დაზარალებულთან შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმდება.

— მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები, რაც განიხილება პირველ ინსტანციაში, ვგულისხმობ, მაგნოლიასა და დიღომი დისტრიქტის ეპიზოდებს, ამასთან დაკავშირებით შეთანხმება ჯერჯერობით არ იქნება მიღწეული ანუ ამ პროცესებზე გაგრძელდება არსებითი სხდომები. საბოლოოდ, მხარეებს შორის შესათანხმებელი საკითხია, რა შედეგი შეიძლება დაიდოს ამ საქმეებზე, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ორივე საქმეში დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, — განაცხადა პროკურორმა დავით გუმბერიძემ.

თუკი სასამართლომ რომელიმე საქმეზე მაია რჩეულიშვილი გაამტყუნა და თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, საპროცესო შეთანხმების მიუხედავად, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელი კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნდება.




## მეგის ქარდავასა და ნიკოლოზ ძიმცეიშვილს სახაზინო ადვოკატები დაენიშნათ

სერგო თეთრაძის წამებისა და დამამცირებელი მოპყრობის საქმეზე ბრალდებულ მეგის ქარდავასა და ნიკოლოზ ძიმცეიშვილს სახაზინო ადვოკატები დაენიშნათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა შკუბულიანმა პროცესზე მიიღო. პროცესზე ორივე ბრალდებულის, რომლებიც მიმალვაში არიან და მათზე ძებნაა გამოცხადებული, ადვოკატები არ გამოცხადდნენ. მოსამართლის განმარტებით, იმისთვის, რომ სასამართლო განხილვები არ გაჭიანურდეს ადვოკატების გამოუცხადებლობის მიზეზით, ქარდავასა და ძიმცეიშვილს ადვოკატები სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნებათ, ვინაიდან ისინი სავალდებულო დაცვას ექვემდებარებიან.

პროკურორებმა მოსამართლეს მიმართეს, რომ კიდევ ერთი ბრალდებულისთვის, ბაჩო ახალაიასთვისაც დაენიშნა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატი, ვინაიდან თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრის ინტერესების დამცველებიც აცდენენ სასამართლო სხდომებს, თუმცა პროკურორების ეს მოთხოვნა მოსამართლემ არ გაითვალისწინა.




## მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ახალი ჯარიმები წესდება




მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ახალი ჯარიმები წესდება. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ რამდენიმე ახალი ნორმა ემატება, რომელიც პარლამენტს დეპუტატებმა კახა კუჭავამ და გოგა გულორდავამ წარუდგინეს. კერძოდ, 3 თვეზე მეტი ვადით მიტოვებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე 50 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილ მოძრაობის სპეციალურ ზოლში (BUS LANE) მოძრაობა, გაჩერება ან დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, 50 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე სხვა სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, გაჩერება ან დგომა.

წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების გზაზე გაჩერება ან დგომა რეგისტრაციის ნომრის, შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის გარეშე, გამოიწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

ამავე დროს, პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, იმ შემთხვევაში, როდესაც დგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის, შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის განუთავსებლობა გამოწვეული იყოს მისი მოპარვით, სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე თავისუფლდება ადმინისტრაციული სახდელისგან, სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯებისგან

# შტაინმაიერი მოსკოვში ჩავა




გერმანიის პრეზიდენტი ფრანც-ვალტერ შტაინმაიერი 25 ოქტომბერს მოსკოვში ჩავა.

ჟურნალისტებთან საუბარში შტაინმაიერმა განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ გერმანიის ყველა პრეზიდენტი მოსკოვში ჩადიოდა, რათა ამით მადლიერება გამოეხატა. ტრადიცია მხოლოდ შტაინმაიერის წინამორბედმა გაუკმა დაარღვია.

– მსურს, ეს ტრადიცია აღვადგინო! – თქვა შტაინმაიერმა.

გერმანიის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ის მიიჩნევს, რომ ჩიხიდან გამოსავალი უნდა მოიძებნოს.

– გულხელდაკრეფილი ჯდომაც არ შეიძლება! – ამბობს შტაინმაიერი.

# დონბასში პროუკრაინული განწყობილებები გაძლიერდა



დონბასში ბრძოლები არ ცხრება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ოკუპანტებმა სოფელ შიროკინოს მახლობლად „რუხი ზონის“ დაკავება ცადეს.

– ჩვენმა მეომრებმა შეტევა მოიგერიეს, – იტყობინება ტსნ.

სოციოლოგიური გამოკითხვები დონბასში პროუკრაინული განწყობილებების ზრდაზე მიუთითებენ. ახლა დონბასში უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნების მომხრეთა რაოდენობა 62%-მდე გაიზარდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# აღმოსავლეთ ევროპელებს ევროკავშირში გაწევრიანება სურთ, ევროკავშირს კი გაფართოება აღარ უნდა



**– სად გადის ევროპის აღმოსავლეთი საზღვარი? ეს კითხვა ევროპის სახელმწიფოების ლიდერებს საუკუნეების განმავლობაში აწუხებდათ. დღესაც ევროკავშირისათვის რთული გადასაჭრელია, როგორ უნდა მოექცეს ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებს, რომლებსაც ევროკავშირში გაერთიანება სურთ, – წერს ბრიტანული ჟურნალი The Economist.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:**

პუბლიკაციაში საუბარია ევროკავშირის მიერ 2009 წლიდან განხორციელებულ „აღმოსავლეთის თანამშრომლობის“ პროგრამაზე, რომელსაც ხუთი ქვეყნისთვის (ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) ევროკავშირთან ინტეგრაციის იმედები უნდა მიეცა. პროგრამის იდეა მდგომარეობდა ევროპული ფასეულობების აგიტაცია-პროპაგანდაში, ეკონომიკურ ინტეგრირებასა და საბოლოო ჯამში, ამ ქვეყნებზე რუსეთის გავლენის შესუსტებაში, თუმცა ევროკავშირი არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოს თავის რიგებში მიღებას არ პირდებოდა. დღეს კი, რაც უფრო ახლოვდება „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ მონაწილე ქვეყნების სამიტი (ნოემბერში), ამ პროგრამით უკმაყოფილება იზრდება. „გვირაბის ბოლოს სინათლის გარეშე ამ პროცესის დასრულება მძიმე შედეგების მომტანი იქნება“, – განაცხადა გასულ კვირას თამარ ხულორდავამ, რომელიც საქართველოს პარლამენტში ევროინტეგრაციის კომიტეტს ხელმძღვანელობს.

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ექვს ქვეყანას 2020 წლისათვის 20 ახალი „დავალება“ აქვთ შესასრულებელი, რომელთაგან ზოგიერთის რეალიზება საკმაოდ რთული იქნება, მათი არაპოპულარული ხასიათის გამო. ვთქვათ, სექსუალური თანასწორობის მიღწევა ევროპული სტანდარტების მიხედვით. ამასთან, ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის განსხვავებები არსებობს – უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებები უკვე გააფორმეს, ბელარუსს, სომხეთს და აზერბაიჯანს კი ევროინტეგრაციის ამ დონემდე ჯერ ვერ მიუღწევიათ. არის სხვა სირთულეებიც: მოლდოვაში, მაგალითად, ოპოზიცია ხელისუფლებას იმას საყვედურობს, რომ „ევროპული პოლიტიკით კორუფციისა და პოლიტიკური დევნის შენიღბვას ცდილობთო“ და ამაში მართლაც არის ჭეშმარიტების მარცვალი.

საქართველოში რეფორმების გატარების ტემპი შენელდა. ქვეყნის მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ მისი დაამარსებლის – მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება. ოპოზიციონერ გიორგი კანდელაკის თქმით, ის ბიუროკრატული აპარატი, რომელიც წინა ხელისუფლებამ შეამცირა, დღეს კვლავ უსაშველოდაა გაზრდილი. მთავრობა პოპულისტურ გადაწყვეტილებებს იღებს და კრძალავს უცხოელებზე მიწის გაყიდვას. ასევე იკრძალება ერთსქესიანთა ქორწინებაც, კონსტიტუციის დონეზე.

უკრაინამ, რომელმაც ევროპული არჩევანი 2014 წლის რევოლუციის შედეგად გააკეთა, ვერ მიაღწია წარმატებას წინა რეჟიმის მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემის დემონტაჟში. უკრაინის ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს ანტიკორუფციულ ორგანიზაციებზე, ვერ განხორციელდა სასამართლო სისტემის რეფორმირება.

რაც შეეხება სომხეთს, ბელარუსსა და აზერბაიჯანს, ეს ქვეყნები სხვადასხვა დონის ავტოკრატიულ სახელმწიფოებად რჩებიან. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი რუსეთის უსაფრთხოების სტრუქტურებთან, რაც მათ მნიშვნელოვნად განასხვავებს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისაგან. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ტერიტორიების ნაწილი და აქედან გამომდინარე, თბილისს, კიშინიოვსა და კიევს ევროკავშირისაგან უსაფრთხოების გარანტიები მიღება სურთ.

ყოველივე ეს ეჭვს ბადებს, თუ რამდენად შორს წავა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ აღნიშნულ ქვეყნებთან მიმართებით. 16 სექტემბერს უკრაინა, საქართველო და მოლდოვა ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ და ნოემბერში დაგეგმილ სამიტზე, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის „საგზაო რუკის“ მიცემა მოითხოვეს. თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, შეიძლება ყველაფერი ძველებურად (ისევე, როგორც 2015 წელს) დასრულდეს, რაც მხოლოდ ამ ქვეყნების „ევროპული სწრაფვის აღიარებაში“ გამოიხატება. თუმცა ნიდერლანდებსა და გერმანიას, რომელთა ამომრჩეველი მტკივნეულად აღიქვამს ევროკავშირის გაფართოებას, 2015 წლის იმ განცხადების გამეორებაც აღარ სურთ. ერთადერთი, რაზედაც „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის მონაწილეებს შეიძლება იმედი ჰქონდეთ, ისაა, რომ რადგანაც ევროპის აღმოსავლეთი საზღვარი ჯერ ისევ გაურკვეველი რჩება, შეიძლება ოდესმე, ერთ მშვენიერ დღეს, ისინი ევროკავშირში მიიღონ, – ნათქვამია სტატიაში.

# განცხადება

**2017 წლის 25 ნოემბერს, 12 საათზე, ქ. თბილისში, კიევის ქუჩა №8-ში შედგება საქართველოს ბერძნულ სათვისტომოთა კავშირის რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო კრება.**

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. საქართველოს ბერძნულ სათვისტომოთა კავშირის გამგეობის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ 2016 წლის 23 აპრილიდან 2017 წლის ნოემბრამდე (სბსკ-ის თავმჯდომარის, ბატონი ფ.ჩიტლიდისის ანგარიში);
2. სბსკ-ის სარევიზიო კომისიის ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 23 აპრილიდან 2017 წლის ნოემბრამდე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი ნ.მენაბდის ინფორმაცია);
3. კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია);
4. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები:
   - კავშირის თავმჯდომარის არჩევა;
   - კავშირის გამგეობის წევრების არჩევა;
   - კავშირის სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

*საქართველოს ბერძნულ სათვისტომოთა კავშირი*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# კრიშტიანუ რონალდუ მწვრთნელებმა და კაპიტნებმა აღიარეს



ლონდონში, ფიფას ვერსიით, 2017 წლის საუკეთესო ფეხბურთელებისა და მწვრთნელების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. წლის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს გამოკითხვაში გულშემატკივრებთან და მედიასთან ერთად, ტრადიციულად, ეროვნული ნაკრებების მთავარი მწვრთნელები და გუნდის კაპიტნები მონაწილეობდნენ. ღონისძიებას ლონდონში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი დაესწრო.

ფიფას გამოკითხვაში საუკეთესო ფეხბურთელი ზედიზედ მეორედ მადრიდის რეალის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ გახდა. საუკეთესო მწვრთნელად მსოფლიოს საფეხბურთო საზოგადოებამ მადრიდის რეალის ფრანგი სპეციალისტი ზინედინ ზიდანი დაასახელა.

რონალდუს კონკურენტები ლეო მესი და ნეიმარი იყვნენ. ცნობილია, რომ რონალდუმ ხმების 43.16% აიღო, მესიმ – 19.25%, ნეიმარმა – 6.97%.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ყველა თანაგუნდელს, როგორც რეალში, ისე პორტუგალიის ნაკრებში. მე რომ ამ ჯილდოებს ვიგებ, პირველ რიგში დიდი შრომისა და მონდომების დამსახურებაა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ვინც ხმა მომცა, მადლობა მესის და ნეიმარს იმისთვის, რომ ახლა აქ არიან. რეალის გულშემატკივრები, თანაგუნდელები, მწვრთნელები და პრეზიდენტი დამეხმარნენ იმაში, რომ ახლა აქ ვარ. ძალიან გახარებული ვარ.

ზიდანმა კი ხმათა უმრავლესობით მასიმილიანო ალეგრისა და ანტონიო კონტეს აჯობა:

**ზინედინ ზიდანი:**

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ საუკეთესოდ დაასახელეს, თუმცა ეს ჯილდო მარტო მე კი არა კონტესა და ალეგრისაც ეკუთვნოდათ. მადლობა მინდა გადავუხადო რეალის ყველა ფეხბურთელს, მათ გარეშე ახლა აქ არ ვიქნებოდი. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ცოლს, რომელიც ყოველთვის ჩემ გვერდითაა და ის ძალიან მიყვარს.

გეტყვით იმასაც, თუ ვის მისცეს ხმა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა და ნაკრების კაპიტანმა ჯაბა კანკავამ.

**ვლადიმირ ვაისის წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინანტები:**

1. ზინედინ ზიდანი; 2. ანტონიო კონტე; 3. ჟოზე მოურინიო.

**წლის საუკეთესო ფეხბურთელი:** 1. ლიონელ მესი; 2. კრიშტიანუ რონალდუ; 3. ლუკა მოდრიჩი.

**გუნდის კაპიტნის ჯაბა კანკავას რჩეულთა სამეული ასე გამოიყურება:**

**წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინანტები:** 1. ზინედინ ზიდანი; 2. დიეგო სიმეონე; 3. პეპ გვარდიოლა.

**წლის საუკეთესო ფეხბურთელი:** 1. კრიშტიანუ რონალდუ; 2. ლიონელ მესი; 3. ნეიმარი.

მსოფლიოს საუკეთესო ქალი ფეხბურთელის ჯილდო ჰოლანდიელ ლიეკე მარტენსს ერგო.

საუკეთესო ქალ მწვრთნელად ასევე ჰოლანდიელი სარინა ვაიგმანი დასახელდა.

2017 წლის საუკეთესო მეკარედ ჯანლუიჯი ბუფონი დაასახელეს.

პუშკაშის ჯილდო კი ლონდონის არსენალის ფრანგ ფორვარდს ოლივიე ჟირუს გადაეცა. გულშემატკივართა რჩეული სწორედ ჟირუს კრისტალ პალასის წინააღმდეგ გატანილი გოლი გახდა.

საუკეთესო გულშემატკივრებად სელტიკის ფანები მიიჩნიეს.

რვა ნომინაციაში გამარჯვებულებთან ერთად, **წლის საუკეთესო მოთამაშეებისგან დაკომპლექტებული გუნდიც დასახელდა:**

**მეკარე:** ჯანლუიჯი ბუფონი;

**მცველები:** დანი ალვეში, ლეონარდო ბონუჩი, სერხიო რამოსი, მარსელო;

**ნახევარმცველები:** ტონი კროოსი, ლუკა მოდრიჩი, ანდრეს ინიესტა;

**თავდამსხმელები:** ნეიმარი, ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუ.

# საჩემპიონო ბრძოლა დაიძაბა, ფოთში სტადიონი ვერ დახაზეს

### დინამო (თბ)-სამტრედია 0:1

<u>თბილისი. დინამო არენა</u>

<u>0:1 ნდონგი (89)</u>

მე-3 წუთზე თოთაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, კობოური (კოვტალიუკი 90), სალუქვაძე, თოთაძე, ზარია (თევზაძე 85), გეგეჭკორი, ქარდავა, ქავთარაძე, კიტეიშვილი, მიქელთაძე, კუცია (ქოჩლაძე 75)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, ნდონგი, გოგიაშვილი, ახალაძე, დათუნაიშვილი, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი, გიი (მარკოზაშვილი 90), ოლაიტანი, საბანაძე (სამუშია 90)

ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისის „დინამო არენაზე" გაიმართა. გათამაშების ლიდერი, დინამო, გასული სეზონის ჩემპიონს, სამტრედიას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა.



მატჩი დინამოელთათვის კარგად დაიწყო, პირველივე წუთზე ბექა ქავთარაძემ პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა, მაგრამ ლაშა თოთაძის შესრულებული სტანდარტი ომარ მიგინეიშვილმა მოიგერია.

ამის გარდა ორივე გუნდის კართან საკმაოდ ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, თუმცა მეკარეები კარგად თამაშობდნენ. დედაქალაქელთა მხრიდან ყველაზე რეალური მომენტები ოთარ კიტეიშვილს ჰქონდა, სამტრედიელთა მხრიდან კი – ანტე გიის.

ერთადერთი გოლი 89-ე წუთზე გავიდა: დავით რაჟამაშვილის ჩაწოდების შედეგად თავური დარტყმით ანრი ნდონგმა გაიტანა.

ამ მარცხით უშუალო კონკურენტებთან დინამოს უპირატესობა შემცირდა და ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა.

### ტორპედო-ლოკომოტივი 4:2

<u>ქუთაისი. რამაზ შენგელია</u>

<u>0:1 სიხარულიძე (9), 1:1 კაპანაძე (47), 1:2 გოროზია (56), 2:2 ბაბუნაშვილი (73), 3:2 კაპანაძე (86), 4:2 კუხიანიძე (90)</u>

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, კაპანაძე, კუხიანიძე, ფალავანდიშვილი, გ.გურული, დოლიძე, ქიმაძე, კვირკვია (ბაბუნაშვილი 70), კუჭუხიძე (ბერიაშვილი, 17, მამასახლისი 60)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ანდრონიკაშვილი (ვარძელაშვილი 53), სიხარულიძე, ქავთარაძე, გვალია, ხიდეშელი, გოროზია (გაბრიჩიძე 79), გაბაძე (ჩიტეიშვილი 61), კობახიძე, ქურდაძე, უზილავა

დრამატული შეხვედრა გაიმართა ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე. ადგილობრივმა ტორპედომ თბილისის ლოკომოტივს უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მარცხდებოდა საბოლოოდ მაინც მოახერხა უმნიშვნელოვანესი 3 ქულის მოპოვება.

უმაყურებლო სტადიონზე შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მე-9 წუთზე საკუთარი გუნდის სწრაფი იერიში ირაკლი სიხარულიძემ დააგვირგვინა.

გაშვებული გოლის შემდეგ ქუთაისელებმა აქტიურად შეუტიეს და გათანაბრება პირველივე ტაიმში შეეძლოთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რევაზ თევდორაძე ზუსტად მოქმედებდა. თავის მხრივ, ლოკო მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდა და როინ კვასხვაძემ რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება მოუწია.

წონასწორობა მეორე ტაიმის საწყის წუთებზე აღდგა. გრიგოლ დოლიძის მოწოდებული კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით თორნიკე კაპანაძემ გაიტანა – 1:1.

სწრაფი გოლის მიუხედავად, ტორპედოელებმა უპირატესობა ვერ მოიპოვეს. პირიქით, ლოკო მალევე მეორედ დაწინაურდა. 56-ე წუთზე თბილისელთა სწრაფი კონტრიერიში ამჯერად გიორგი გოროზიამ აქცია გოლად.

ამის შემდეგ ლოკომოტივმა უკან დაიხია და გიორგი დევდარიანის გუნდი ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. მატჩის საბოლოო შედეგზე უდიდესი გავლენა მოედანზე შოთა ბაბუნაშვილის გამოჩენამ მოახდინა. გამოცდილი ნახევარმცველმა 70-ე წუთზე მათე კვირკვია შეცვალა და შემოსვლიდან ზუსტად 3 წუთში შორეული საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა.

გოლმა ტორპედოელებზე კარგად იმოქმედა და კახაბერ ჩხეტიანის გუნდმა კიდევ უფრო დიდი ძალებით შეუტია. მასპინძლები მატჩის მიწურულს დაწინაურდნენ. 85-ე წუთზე გიორგი ქიმაძემ შეტევის მარცხენა ფლანგზე ტექნიკურად ითამაშა, მეტოქე ჩამოიშორა და გამჭოლი პასით თორნიკე კაპანაძეს დუბლი შეასრულებინა.

დარჩენილ დროში ლოკომოტივმა ანგარიშის გათანაბრება ცადა, მაგრამ უშედეგოდ და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გოლი საკუთარ კარში მიიღო. საჯარიმოს მისადგომებიდან მოჭრილი დარტყმით გიორგი კუხიანიძემ გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### საბურთალო-დილა 3:1

<u>თბილისი, მიხეილ მესხი 2</u>

<u>1:0 ხარაიშვილი (45), 2:0 კოხრეიძე (58), 3:0 ხარაიშვილი (70), 3:1 ფანცულაია (84)</u>

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი (ცნობილაძე 46), თედორე გრიგალაშვილი, ნადარაია, ელვინ ტერა (მამუჩაშვილი 51), თარხნიშვილი, ხარაიშვილი, კოხრეიძე (ვოლკოვი 70), მუეცი, შინდაგორიძე.

**დილა:** მუჯირიშვილი, ქარქუზაშვილი, აბუბაქარი, ფოფხაძე, მორასი, ძარია (აშორტია 74), რაზმაძე, კირკიტაძე, წიქარიძე (პედრინიო 61), ნონიკაშვილი (ჰეიფორდი 53), ფანცულაია.

მნიშვნელოვანი თამაში მოიგო თბილისის საბურთალომ. დედაქალაქელებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე გორის დილას უმასპინძლეს და 3:1 დაამარცხეს მეტოქე.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს საბურთალომ გახსნა. მეტოქის კარი საჯარიმო დარტყმით გუნდის კაპიტანმა, გიორგი ხარაიშვილმა აილო.

მეორე ნახევარი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო და თბილისურმა კლუბმა კიდევ უფრო დიდი უპირატესობა მოიპოვა. 56-ე წუთზე ნდუე მუეცის გადაცემით ანგარიში ორამდე გიორგი კოხრეიძემ გაზარდა – 2:0.

ამის შემდეგ ტემპი შედარებით დაეცა და თამაში ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა. საბურთალოელებმა კიდევ ერთი გოლის გატანა 70-ე წუთზე მოახერხეს, ვლადიმერ მამუჩაშვილის შორეული გადაცემით გიორგი ხარაიშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და საკუთარი გუნდის მორიგი იერიში შედეგიანი დარტყმით დაასრულა – 3:0.

შეხვედრის ბოლო წუთებში ინიციატივა გორელებმა მოიპოვეს და პრესტიჟის გოლი გაიტანეს. 84-ე წუთზე გილერმე მორასის გამჭოლი გადაცემის შედეგად გიორგი ფანცულაიამ გაიტანა.

ამ გამარჯვებით საბურთალომ უშუალო კონკურენტის, თბილისის ლოკომოტივის, მარცხით ისარგებლა და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

### კოლხეთი-შუქურა 0:3

მასპინძელი კლუბის მხრიდან სტადიონის მატჩისთვის ვერ მომზადების გამო არ ჩატარდა – მასპინძლებმა სტადიონის დახაზვა ვერ მოასწრეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველმა კომიტეტმა საგანგებო სხდომა გამართა.

კომიტეტის წევრებმა განიხილეს ეროვნული ლიგის 31-ე ტურში სტადიონის მოუმზადებლობის გამო ჩაშლილი მატჩი ფოთის კოლხეთსა და ქობულეთის შუქურას შორის და სადისციპლინო კოდექსის 108-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: კოლხეთს ჩაეთვალა 0:3 წაგება და დაჯარიმდა 2.500 ლარით. აგრეთვე, კლუბს სეზონის ბოლომდე მიეცა პირობითი სასჯელი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 31 | 20 | 5 | 6 | 71-27 | 65 |
| 2.ტორპედო | 31 | 19 | 7 | 5 | 51-25 | 64 |
| 3.სამტრედია | 31 | 18 | 7 | 6 | 50-31 | 61 |
| 4.საბურთალო | 31 | 15 | 5 | 11 | 54-38 | 50 |
| 5.ლოკომოტივი | 31 | 15 | 4 | 12 | 57-43 | 49 |
| 6.ჩიხურა | 31 | 14 | 4 | 13 | 38-47 | 46 |
| 7.დილა | 31 | 9 | 7 | 15 | 36-46 | 34 |
| 8.დინამო (ბთ) | 31 | 10 | 2 | 19 | 26-50 | 32 |
| 9.კოლხეთი | 31 | 4 | 8 | 19 | 28-62 | 20 |
| 10.შუქურა | 31 | 3 | 7 | 21 | 31-73 | 16 |

## შედეგები

<u>23 ოქტომბერი</u>

<u>ფეხბურთი</u>

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ესპანიოლი ................. 1:1
დეპორტივო-ხირონა ...................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 26-3 | 25 |
| 2.ვალენსია | 9 | 6 | 3 | 0 | 25-10 | 21 |
| 3.რეალი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-7 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 9 | 5 | 4 | 0 | 14-5 | 19 |
| 5.ლეგანესი | 9 | 5 | 2 | 2 | 8-3 | 17 |
| 6.ვილიარეალი | 9 | 5 | 1 | 3 | 15-10 | 16 |
| 7.ბეტისი | 9 | 5 | 1 | 3 | 19-17 | 16 |
| 8.სევილია | 9 | 5 | 1 | 3 | 9-8 | 16 |
| 9.სოსიედადი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-18 | 14 |
| 10.სელტა | 9 | 3 | 2 | 4 | 18-14 | 11 |
| 11.ბილბაო | 9 | 3 | 2 | 4 | 10-10 | 11 |
| 12.ლევანტე | 9 | 2 | 5 | 2 | 9-11 | 11 |
| 13.ესპანიოლი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-12 | 10 |
| 14.ხეტაფე | 9 | 2 | 3 | 4 | 11-10 | 9 |
| 15.ხირონა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 16.დეპორტივო | 9 | 2 | 2 | 5 | 10-18 | 8 |
| 17.ეიბარი | 9 | 2 | 1 | 6 | 3-20 | 7 |
| 18.ლას პალმასი | 9 | 2 | 0 | 7 | 7-22 | 6 |
| 19.ალავესი | 9 | 1 | 0 | 8 | 3-14 | 3 |
| 20.მალაგა | 9 | 0 | 1 | 8 | 4-20 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეონესა-ალბასეტე ....................... 0:0

**გერმანია. მე-2 დივიზიონი**

ზანდჰაუზენი-ზ.პაული ................. 1:1

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ბარი ..................................... 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

აიაჩო-გაზელეკი ............................ 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ბრაგა ........................ 0:1
გიმარაეში-პორტიმორენშე ........... 3:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-კრასნოდარი ........... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

აეკი-ატრომიტოსი ......................... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ბაშაქშეჰირი ................ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-სლასკი ............................. 4:1

პლოცკის მე-3 გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ოლბორგი ...................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

იონჩოპინგი-კალმარი ................... 2:0
მალმიო-აიკი .................................. 0:0
ჰამარბი-სირიუსი .......................... 3:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

ოდ გრელანდი-ლილესტრიომი ...... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სერბეთმა საქართველოსთან მატჩისთვის შემადგენლობა გამოაქვეყნა

მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე სერბეთმა გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა.

სერბების მწვრთნელმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა 35-კაციანი სია დაასახელა, რომელშიც ევროლიგის კლუბებში მოთამაშე კალათბურთელებიც შევიდნენ. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებენ თუ არა ევროლიგის მოთამაშეები თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში.

შეგახსენებთ, რომ სერბეთთან და საქართველოსთან ერთად მსოფლიოს 2019 წლის საკვალიფიკაციო ჯგუფში ავსტრია და გერმანია არიან. საქართველოსა და სერბეთის მატჩი მიმდინარე წლის 27 ნოემბერს ბელგრადში გაიმართება.




სერბეთის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

სტეფან იოვიჩი, ვასილიე მიჩიჩი, ნემანია ნედოვიჩი, მარკო გუდურიჩი, დრაგან მილოსავლიევიჩი, ნემანია დანგუბიჩი, ბრანკო ლაზიჩი, ვლადიმირ ლუჩიჩი, მარკო სიმონოვიჩი, ნიკოლა კალინიჩი, სტეფან ბირჩევიჩი, მილან მაჩვანი, ვლადიმირ შტიმაცი, ოგნენ კუზმიჩი, ნიკოლა მილუტინოვი, მიროსლავ რადულიცა, ოგნენ დობრიჩი, ალექსა რადანოვი, სტეფან პენო, ვანია მარინკოვიჩი, ალექსა ავრამოვიჩი, სტევან იელოვაცი, ნიკოლა იოვანოვიჩი, ნიკოლა რადიჩევიჩი, სავა ლეშიჩი, ნიკოლა რებიჩი, მილენკო ტეპიჩი, ნიკოლა იანკოვიჩი, ჯორჯე გაგიჩი, ივან მარინკოვიჩი, ივან პაუნიჩი, ილია ჯოკოვიჩი, დეიან ტოდოროვიჩი, გორან ჰუსკიჩი, დეიან მუსლი.

# ვინ იყო და როგორ ირჩევდნენ ძველად „მახვშის“ სვანეთში

ძველი „მახვშიობა“ (მამასახლისობა) თავისუფალ სვანეთში შესწყდა მხოლოდ 1869 წელს, როდესაც პირველად დაწესდა მთავრობისგან ეხლანდელი მამასახლისობა.
ვინ იყო ეს ადრინდელი „მახვში“, რა მნიშვნელობისა და უფლებათა მქონი?



სიტყვა „მახვში“, სვანურად ნიშნავს უფროსს, მეუფროსეს, თითქმის იმავე მამასახლისს. იგი იყო სასოფლო ყრილობის თავსმჯდომარე და ამ გვარად მისი როლი ბევრად წააგავს როლს რესპუბლიკის პრეზიდენტისას, რასაკვირველია, განსხვავებით.

მახვშის ირჩევდნენ უვადოდ და თუ იგი კარგი გამოდგებოდა, ეს თანამდებობა შერჩებოდა მას ღრმა სიბერემდის. უვარგისს მახვშს კი ფიცხლავ გამოსცვლიდნენ ხოლმე ყოველს ჟამს, თუნდა წლამდინაც.

მახვშის არჩევანში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მინიჭებული ყველას, ვინც კი სრულ-წლოვანი იყო, ასე რომ ერთის ოჯახიდამ 30 სრულ-წლოვანიც რომ ყოფილიყვნენ, ყველას შეეძლო დასწრებოდნენ და მონაწილეობა მიეღოთ არჩევანში. შესანიშნავი ის არის, რომ ქალებსაც მინიჭებული ჰქონდათ ეს უფლება.

სრულ-წლოვანს მანდილოსანს რომლისამე მეკომურისას იგივე ხმა ჰქონდა, როგორც ქუდოსანს. მაგრამ, საზოგადოდ, მანდილოსანთა რიცხვი ყოველთვის ნაკლები იყო მამაკაცზე არჩევანის დროს.

მახვში უნდა ყოფილიყო ხანში შესული კაცი, მაგრამ მამაცი, გამოცდილი, პატიოსანი, გონიერი და საზოგადოების ერთგული. აღრჩევა მახვშისა მოხდებოდა ყოველთვის ერთს აღნიშნულს ადგილს, რომელსაც სხვა-და-სხვა საზოგადოებაში სხვა-და-სხვა სახელს უწოდებენ. ერთი „ლალხორ“, მეორე „სვიფ“ (?) და მესამე „სახევ“ (სადადიანო სვანეთში). ეს სახელები ჰნიშნავენ საჯარო ადგილს, „აგორა“ – ბერძნულად და „Forum“ რომაულად რომ ჰქვია. ამ სარბიელ ადგილზედ საზოგადოება ერთბაშად თავს მოიყრიდა, რაკი საჭირო იქნებოდა ახალის მახვშის არჩევა. აქვე იკრიბებოდა საზოგადოება ყოველთვის, როცა ყრილობის შესახები რამ საქმე იქმნებოდა.

ჯერ მივიდოდა ერთი რომელიმე წევრი საზოგადოებისა, დაუკრავდა ბუკს ხალხის შესატყობინებლად. მაშინვე ყველანი შეიმოსებოდნენ საგარეო და სადღესასწაულო ტანისამოსით და შეიარაღებულნი წარემართებოდნენ დანიშნულს ადგილს. აქვე წარსდგებოდა სამახვშიო პირი, რომელიც ხალხს ჯერ უწინდელის მახვშის სიცოცხლეშივე ჰყავს ნაგულვები სამერმისო მახვშის მოადგილედ. ასე რომ, მახვში დიდის ხნითვე აღრჩეულია წინასწარ და თუ ახლა ხალხმა თავი მოიყარა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ საჯაროდ ჩააბაროს მას ეს თანამდებობა.

ვისიც რიგი იყო მოსვლისა, ყველანი მოგროვილნი არიან, ყველას მხიარულება ეტყობა, ბაასი და ხსენებაა პატივისდებით უწინდელის შესანიშნავის მახვშიებისა. ბოლოს ხალხი შეჯგუფდება და წინ წამოაყენებს სამახვშიო კანდიდატს. ხალხი და მახვში კარგა ხანს ერთმანეთს უყურებენ, თითქო ახლა შინჯვენ ერთმანეთსაო. ამ დროს ყრილობიდამ გამოვა რომელიმე კარგი ენამეტყველი პირი და ეტყვის შესხმას სამახვშიოს. ეს შესხმა აქ ითარგმნება ისე, როგორც გადმომცეს პირ-და-პირ დამსწრე მოხუცთა.

– კარგო ესავ! (სახელია) ევა-ადამიდამ („ივა-ადამუნ ლო“) დაწყებული კაის მხრით, პატივით და ქებით ხსენებულ არიან შენნი წინაპარნი და ამირიდგან შენც შეიქმნები. უცხო არ არის თემისთვის ამგვარი პატივი და დიდება ჯარისაგან (პუბლიკისგან). ეს ასეა და ტყუილის თქმაც ცუდია, რომ არ მოგახსენოთ, რომ დღეს შენ დიდს პატივსა გდებთ: შენ ერთს ჩვენთაგანს გხდით ჩვენს უფროსად და რამდენადაც დიდია ჩვენი შენდამი პატივისცემა, იმდენად ასი-ათას-ჯერ მომეტებული უნდა იყოს შენი ჩვენდამო სიყვარული და თავ-განწირული ერთგულება. დღეის ამას იქით შენ ჩვენი მამა ხარ და ჩვენ შენი შვილები. შენ იცი და შენმა კაი-კაცობამ, თუ როგორ შეასრულებ ამ შენს მოვალეობას და ჩვენს მონდობილობას, მახვშიობას, რომელიც დღეს ჩვენ ხელთ მოგეცით და სხვ.

შემდეგ ეს ორატორი ახსენებს მახვშის უწინდელს სახელოვანს მახვშიებს არა თუ იმ საზოგადოებისას, არამედ მთელის სვანეთისას და ბოლოს სთხოვს ღმერთს, რომ ამ ახალს მახვშის დაემსახუროს იგეთივე სახელი, როგორიც იმ სახელოვან მახვშიებს დაუმსახურნიათ, – იმ მახვშიებს, რომელთა დროს საზოგადოებანი კეთილ-დღეობაში ყოფილან.

– ბევრს ნეტავის გვეტყვიან შენ („ობა ნატილას ჯექვნინეხ“) – მიუბრუნდება ორატორი ისევ მახვშის – თუ ყოველივე ისე მტკიცედ აღასრულე, როგორც ჩვენი რიგი და წესი მოითხოვს!

დასასრულ, ორატორი ქუდ-მოხდილი დაიჩოქებს და აღავლენს ვედრებას ღვთისადმი:

„დიდება შენდა მაღალო ღმერთო! გევერდრებით და შეგვივედრე: თუ ოდესმე სვანეთის ხეობაში მახვშის აღრჩევა კეთილი და ბედნიერი ყოფილიყოს, მეორედაც ეს ჩვენი მახვშის აღრჩევა კეთილი და ბედნიერი გახადე, ამენ!“

„ამენ“ ერთობილის ხმით შებღავლებს ერი დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი.

ამაზედ მახვში ჯერ მადლობას მოახსენებს ჯარს და შემდეგ დაიწყებს ხმამაღლივ ლოცვას:

„დიდება შენდა კაცისა გამჩენელო ღმერთო, გეხვეწები და შეისმინე ჩემი ვედრება; სახვედრელს მიმახვედრე; შეცდომას ამაცილე; ჭკუა-გონება მომეც; ყოველგვარს კეთილ საქმეში მწე და მფარველი მეყავ; ქაჯ-ეშმაკი ამაშორე; შემაძლებინე ღირსეული სამსახური საზოგადოებისადმი; ნუ ჩამაგდებ მე და ჩემს შვილსა და მომავალს ამოუღებელ სირცხვილში, მომეც ძალი და ღონე, რომ სიკვდიმდე გავატარო მახვშიობა პატიოსნად, საზოგადოების საკეთილ-დღეოდ და ჩემდა სასიქადულოდ და სხვ.“

ამით თავდება მახვშის აღრჩევის ცერემონიალი. ხალხი დაიშლება, და მახვშიც, შემოსილი უფლებითა და პატიოსნებით, შეუდგება საქმეს.

ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მახვშის არჩევა უკანონო ყოფილიყო, რადგან არავის შეეძლო ვინმე გაენდო და ვისთვისმე ეთქო, რომ მას ჰსურს მახვშიობა, ან ამის გულისთვის ქრთამი რამ გაეღო და მომხრეები ეშოვნა. მახვში თავისთავად დაგულვებული იყო მით, რომ მას მიუძღოდა რომელიმე ღვაწლი ხალხის წინაშე და ზემოთ თქმულნი სათნოებანი, რომლითაც ის სხვებს აღემატებოდა.

მახვშის არავითარი ჯამაგირი არ ეძლეოდა. ყოველს სასყიდელზედ უფრო მაღლა აყენებდა იგი და ხალხიც ამდენს მისდამი ყურადღებას მთელი საზოგადოებისას. ამით სახელი მისი მათებურად უკვდავი ჰხდებოდა შთამომავლობაში და ეს იყო მისი ჯილდო.

მახვშის ბევრ-ნაირი მოვალეობა აწვა კისერზე. იმის უფლება თითქმის შემოუფარგვლელი იყო. ის ერეოდა ყოველ საქმეში, რასაც ცხოვრების მიმდინარეობა მოიანდა. საქმე, – სასულიერო ყოფილიყო, თუ სახორციელო, სისხლის სამართალი თუ სამოქალაქო, ყველაში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ ისე კი, რომ ყრილობის გადაწყვეტილების მორჩილი უნდა ყოფილიყო.

საზოგადოდ, საქმეს მახვში ყრილობის დაუკითხავად და მისგან ნების დაურთველად არაოდეს არ იკისრებდა და არ ითავებდა, და თუ ზოგჯერ ითავებდა რასმე, მხოლოდ მაშინ, როცა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეში საზოგადო ინტერესები მტკიცედ დაცულ არიან და საზოგადოებაც ამ შემთხვევაში წუნს არ სდებდა მახვშის ნამოქმედარს. ყოველ საზოგადო საქმეში მახვში ჯერ დაეკითხებოდა გამოცდილ და სარწმუნო კაცებს და მათებურად დადგენილს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას იგი წარუდგენდა საზოგადო ყრილობას. მოახსენებდა რა საზოგადო ყრილობას საქმის გარემოებას, მახვში წარმოსთქვამდა თავის შეხედულობასაც და დადგენილობას. თუ ეს ყრილობას მოეწონებოდა, ბევრის აწონ-დაწონის შემდეგ, დაამტკიცებდა, თუ არა და დადგენილობას შესცვლიდა ან მთლად, ან რავდენადმე.

მახვშის ჰქონდა უფლება, რომ სახალხო ხანგრძლივის დღესასწაულობის დროს, როცა ხალხში მთვრალობისა გამო ჩხუბ-კვლა და სხვა უწესობა ხშირად ხდებოდა, – მაშინ ყველასთვის იარაღი აეყარა. აჰყრიდა და დღესასწაულის გათავების შემდეგ ყველას კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა.



როგორც საზოგადო საქმეებში, ისე კერძო შემთხვევაში მახვშის პირველი ადგილი ეჭირა. მის საღვთო და ზნეობითს მოვალეობას შეადგენდა: დაცვა მყუდროებისა და მშვიდობიანობისა საზოგადოების წევრთა შორის. აგრეთვე მორიგების ჩამოგდება მოჩხუბართა და მოძულეთა შორის. მახვშის განსაკუთრებით ბევრი საცადი ჰმართებდა მაშინ, როცა რწმუნებულს მისდამი საზოგადოებაში გვართა ბრძოლა მოხდებოდა და როდესაც ორ თემს შორის „სისხლი ჰსდუღდა“, როგორც თვითონ სვანები იტყვიან, ამ დროს მახვში დღე და ღამ იმათ ოჯახებში დადიოდა. მახვში ცდილობდა რჩევით და შეგნებით მშვიდობიანობა ჩამოეგდო. მაგრამ თუ ამით ვერას გახდებოდა, მაშინ უფრო ენერგიულ საშუალებასაც მიჰმართავდა: მოიწვევდა საზოგადოებას, რომელიც ძალით შეაჩერებდა მოჩხუბრებს. ძნელად თუ ოდესმე ვერ გასჭრიდა მახვშის საცადი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოჩხუბარი და მისი ურჩი თემი დაიმსახურებდა არათუ მის სამდურავს და რისხვას, არამედ მთელის საზოგადოებისას. რაკი მოჩხუბრებს მორიგებაზე დაიყოლიებდნენ, მაშინვე აირჩევდნენ მედიატორებს, რომელთ თავსმჯდომარედ ისევ იგივე მახვში იყო.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

25 ოქტომბერი



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **კურო** – არაკეთილისმსურველები თქვენთვის ზიანის მოყენებას ცდილობენ. დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დღეს გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ახლობლისგან მიღებული ინფორმაცია თქვენს მდგომარეობას რადიკალურად შეცვლის. **ლომი** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარება გაგთანგავთ. გამოფხიზლდით და სასურველს რეალობად ნუ მიიღებთ. **სასწორი** – თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გარშემომყოფების დარწმუნებასა და თქვენ მხარეს გადაბირებას მშვენივრად ახერხებთ. **თხის რქა** – პარტნიორებთან თანამშრომლობა ძალზე პროდუქტიული იქნება. მარტოხელებს სასიამოვნო შეხვედრები გელით. **მერწყული** – შესანიშნავად გამოიყურებით, რაც წარმატებაში ხელს შეგიწყობთ. **თევზები** – დღეს ბევრი რამ შეიცვლება, როგორც ცხოვრების სტილი, ისე ადამიანებთან ურთიერთობა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ფრანგული პური; 7. ჟოკეის წკეპლა; 9. ძაფზე ასხმული სამკაული; 12. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 14. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 15. ერთადგილიანი, სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი; 17. მაღალხარისხოვანი ფერადი ბროლის დასამზადებლად გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

**თარაზულად**: 5. უეფას პრეზიდენტი; 6. ყირიმის ძველი სახელწოდება; 8. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 10 წითელი ფერის, მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 11. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 13. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 16. მჭევრმეტყველების თეორია; 18. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ღვინის დანალექი; 21. ესპანური ავიაკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. უნგრელი კომპოზიტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პობედა; 2. წულა; 3. შემოქმედი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 8. რობენი; 9. მინანქარი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირალი; 9. მიკოზი; 10. ცანა; 11. ჰეკმანი; 13. წნორი; 15. რუბიკი; 17. ყირმიზი; 18. ბუტიკი; 19. ფაუსტი; 20. ლიქიორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნალმი; 3. სიბარიტი; 4. კეხანა; 7. დიუნა; 9. ბელგა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ჯოყოლა; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:**5. კუროსავა; 6. ფრიკასე; 8. კომოციო; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. პრეტორი; 16. ბარიტონი; 18. ფუქსი; 19. პენსი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. მირკანი.

# თბილისის მოდის კვირეული იწყება



თბილისის მოდის კვირეულის მე-16 სეზონი 27-30 ოქტომბერს გაიმართება.

2018 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონის კოლექციების ჩვენებებსა და სხვა ღონისძიებებს სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია და მულტიფუნქციური სივრცე „რესპუბლიკა“ უმასპინძლებს.

თბილისის მოდის კვირეული დიზაინერ ლაშა ჯოხაძის ჩვენებით გაიხსნება და 30 ოქტომბერს გამოჩენილი ქართველი მხატვრის, ელენე ახვლედიანისადმი მიძღვნილი ღონისძიებით დასრულდება ლეღვთახევში. 4-დღიანი პროგრამა აერთიანებს 20-ზე მეტ ღონისძიებას. მათ შორისაა ქართველი დიზაინერების ქეთი ჩხიკვაძის, ანი დათუკიშვილის, ატელიე 27-ის ჩვენებები.

კვირეულზე რამდენიმე უცხოელი დიზაინერის კოლექციაც იქნება წარმოდგენილი. ჩვენებების პარალელურად, ასევე მოეწყობა მარიამ გვასალიას მაღაზიის გახსნა, ატელიე მართას აქსესუარების პრეზენტაცია.

თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში რამდენიმე უცხოელი ბაიერი ჩამოვა და ქართველ დიზაინერებს მიეცემათ საშუალება, საერთაშორისო გაყიდვები აწარმოონ.

თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში თბილისი მოლი დიდ და მოდურ ღია წვეულებას 31 ოქტომბერს გამართავს. მთავარ ატრიუმში მოდული მარში მოეწყობა.

# სომხეთში შოთა რუსთაველის ქუჩა განახლდა



სომხეთის ქალაქ გიუმრში უძველესი ქუჩა აღადგინეს, რომელსაც ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სახელი აქვს მინიჭებული. ქუჩა ქალაქის უძველეს უბანში მდებარეობს და წლების განმავლობაში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

შოთა რუსთაველის ქუჩის განახლებასთან დაკავშირებით გიუმრში სადღესასწაულო ღონისძიება ჩატარდა. მთელი დღის განმავლობაში ქუჩებში ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები სეირნობდნენ, ქართულ ცეკვა „კინტაურს“ ცეკვავდნენ და ძველი ფაეტონებით სეირნობდნენ, სანახაობაზე მისულ სტუმრებს კი ორგანიზატორები ბაქლავითა და ქადით გაუმასპინძლდნენ.

# გიგი ადამაშვილს რუსულის სწავლა უფასოდ შესთავაზეს



მომღერალ გიგი ადამაშვილს რუსულის სწავლა უფასოდ შესთავაზეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– შევხვდი ქალბატონს, რომელიც 1 კვირის წინ დამიკავშირდა. უკრაინული იქს-ფაქტორის ვიდეო უნახავს და შეუმჩნევია, რომ რუსული არ ვიცი და შემომთავაზა რუსულის სწავლა სრულიად უსასყიდლოდ. ძალიან გამახარა ამ შემოთავაზებამ, ზუსტად ახლა ვეძებდი რუსულის პედაგოგს... ეს ადამიანი გახლავთ პროფესორი ნანა რამიშვილი. როგორც ქალბატონი ნანა ამბობს, შემთხვევით არაფერი ხდება, ეტყობა, მე მელოდებოდიო. არ ვიცი, ამ ყველაფერს რისთვის ვიმსახურებ, მაგრამ მინდა, საჯაროდ დიდი მადლობა გადაგიხადოთ!

# ვინ იყო და როგორ ირჩევდნენ ძველად „მახვშის“ სვანეთში

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ყოველს კერძო საქმეში და ოჯახში მახვშის ისე მიუწვდებოდა ხელი, როგორც საზოგადო საქმეებში. გაყრის დროს მამა-შვილთა, ძმათა და ცოლ-ქმართა შორის ამბოხის დროს პირველი მზრუნველი ისევ მახვში იყო. დანარჩენს მოვალეობას მახვშისას, როგორც სამსაჯულო საქმეების წარმოებაში და მსაჯულთ შედგენილობაში მერეც მოგწერთ და ამიტომ აქ თავს ვანებებ.

რითი უხდიდა საზოგადოება მახვშის ამ გვარს უანგარო სამსახურს? – უხდიდა არა ნივთიერს ჯილდოთი, არა ჯამაგირით, არამედ ერთადერთის პატივდებით და დაფასებით. ერთი ესა, რომ მახვში ხელთ-უხლები კაცი იყო, რადგანაც ჩვეულებითი მართლიერება მას არ აძლევდა ნებას, რომ ვისმე ხელით შეხებოდა, ანუ გაელახა, ანუ დაეტყვევებინა. მეორე ესა, რომ საზოგადოება უთმობდა მახვშის პირველს საპატიო ადგილს ყოველგან და ყველასთან და ესე ყოველი ხალხის აზრით უღრმესი და უდიდესი პატივისცემა იყო, ვინემ ნივთიერად დაჯილდოება. მახვშიც ამ აზრისა იყო. მხოლოდ ათასში ერთხელ ხალხი მუშაობაში თუ მიეშველებოდა თავის მახვშის, რომელიც საზოგადო საქმეების გამო მუდამ მომცდარი იყო თავისს კერძო საქმეს. ხალხის საყვარელის მახვშების სახელი ისეთივე დაუვიწყარნი არიან დღესაც სვანეთში, როგორც სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა მათი გმირები. ამაში დარწმუნდება ყოველი ცნობის-მოყვარე გარეშე კაცი, თუ ის მათს ცხოვრებას დააკვირდება; ვერ შენიშნავს მხოლოდ მორბედი მოგზაური და ენის უცოდნელი.

**მთის ამბები**

# გადაცემა „ილუზიონი“ ეთერში ბრუნდება




პოპულარული გადაცემა „ილუზიონი“, რომელიც კინომცოდნე ოთარ სეფიაშვილმა დააარსა და მისი უცვლელი წამყვანი იყო, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეთერში ბრუნდება.

განახლებული „ილუზიონი“ კვლავ პირველი არხის ეთერში გავა. „ილუზიონის“ სეანსებზე მაყურებელს საშუალება მიეცემა, იხილოს ისეთი ფილმები, რომლებსაც მდიდარი კულტურული მნიშვნელობა და ისტორიული კონტექსტი გააჩნიათ, რომლებიც დიდწილად, გამოსვლის დროს, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართველი მაყურებლის მიღმა დარჩა და დღესაც მათზე ცნობადობა მაღალი არაა.

ახალ „ილუზიონში“ განიხილავენ ფილმებს ანალიტიკურად, გამოკვეთენ იმ აქცენტებს, რომლებსაც საჭიროა დააკვირდეს მაყურებელი ნაწარმოების სრულყოფილად აღსაქმელად. ინფორმაციული და ანალიტიკური ველი დაეხმარება ქართველ კინომოყვარულებს, უფრო სიღრმისეულად გაიცნონ თანამედროვე პოპკულტურის შემოქმედი ნამუშევრები. იქნება ფილმების მრავალფეროვანი სელექცია, დაწყებული სპაგეტი ვესტერნებით, დამთავრებული სამეცნიერო ფანტასტიკით.

გადაცემაში მაქსიმალურად გაიშლება აქცენტები ნაჩვენები სურათის კონტექსტზე, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ჭრილით. „ილუზიონის“ ერთგული მაყურებელი გაცილებით დაკვირვებული გახდება კინემატოგრაფის აღქმის, წაკითხვისა და განხილვის საკითხებში და შეძლებს, უფრო მეტი სიამოვნება მიიღოს კინოჩვენებისგან.

# გიორგი ნადირაშვილის საქართველოში გადმოსასვენებლად ამერიკაში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა



– სამშობლოს მიწას ძვლებიც ნატრობენ... – ასე დაასათაურა ემიგრანტმა ლელა ჭელიძემ თავისი ჩანაწერი, რომელიც გიორგი ნადირაშვილისა და ევა ბიჩინაშვილის ოჯახს მიეძღვნა:

– გიორგი ნადირაშვილისა და ევა ბიჩინაშვილის არაჩვეულებრივი ოჯახი, რომელმაც სალამურის სამყარო შეუქმნა საქართველოს. მათ უამრავი თაობა დაზარდეს და აზიარეს ქართული ფოლკლორის ხელოვნებას. აზიარეს შინაც, საქართველოში და მამულის გარეთ დაფანტულებსაც, რითაც ქართულ სალამურს სული შეუნარჩუნეს და მისი პოპულარიზაცია მოახდინეს ცხრა მთას იქით, უცხო მიწაზე, ამერიკაში...

რამდენიმე წელია, რაც ქალბატონი ევა გარდაიცვალა, სულ ცოტა ხნის წინ ბატონი გიორგიც... სამწუხაროდ, ორივე აქ, უცხო მიწას არიან მიბარებულნი... ოჯახს გადასვენების ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა და იმიტომ.... დიდმა გიორგიმ თავისი ოჯახის ღირსეულ გამგრძელებლებს, ძმებს ნიკო და რაულ ნადირაშვილებს ანდერძი დაუტოვა, სამშობლოში გადასვენებისათვის ფული არ ესესხათ, მათი შრომით შეეგროვებინათ... მათი შრომა კი მუსიკა და ქართული საკრავებია, ეროვნული საკრავები, რომლებზეც აჟღერებენ არა მარტო ქართულს, არამედ უცხოურ მუსიკასაც.

მართლაც ძმებმა ნადირაშვილებმა ტრიო „საუნჯის“ ბაზაზე შექმნეს ახალი შემოქმედებითი მუსიკალური ანსამბლი „საუნჯე“ და ნიუ იორკში, ყოფილ მილენიუმის თეატრის შენობაში ახალი ანსამბლი „საუნჯე“'მსმენელის წინაშე ახალი შემადგენლობითა და ახალი მუსიკალური შემოქმედებით წარდგა.

საქველმოქმედო კონცერტზე შესული თანხა ბატონი გიორგისა და ქალბატონი ევას სამშობლოში გადასვენებას მოხმარდება.

როგორც ერთი ემიგრანტთაგანი, გულით ვუსურვებ ძმებს ნიკოსა და რაულს მამის ანდერძის პირნათლად შესრულებასა და საკონცერტო ტურნეს გაგრძელებას როგორც აქ შტატებში, ისე ევროპაში და დასკვნით კონცერტს სად? სად და საქართველოში!

# ქობაირის მონასტრის რესტავრაციაზე სომეხი და ქართველი სპეციალისტები იმუშავებენ

ქობაირის მონასტრის რესტავრაციის პროცესში მეთოდოლოგიისა და მიდგომების საკითხებს სომეხ ექსპერტებთან ერთად ქართველი სპეციალისტებიც შეიმუშავებენ.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულების მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორებისა და ხელოვნებათმცოდნეების სამუშაო ჯგუფი მეორე დღეა სომხეთში იმყოფება.



ქობაირის მონასტრის სატრაპეზოს კედლის აღდგენის პროცესის მონახულებისას 2 ქვეყნის რესტავრატორებმა უკვე განსაზღვრეს ტაძრის სარეაბილიტაციო უბნის საფასადო წყობასთან დაკავშირებული მიმართულება, რომელიც ქვის წყობის ფორმებსა და დეტალებს მოიცავს. სომეხმა ექსპერტებმა ქართველი კოლეგების წინადადებები გაიზიარეს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორების შეფასებით, მონასტრის რესტავრაცია დადგენილი ნორმების ფარგლებში ხორციელდება. ფიზიკური სამუშაოები ქობაირის მონასტერზე სომხეთის მხარემ ორი წლის წინ დაიწყო, რომლის მიმდინარეობისას უკვე აღდგა ეკლესიის სამრეკლო.

ქობაირის მონასტრის რეაბილიტაციის პროექტში ქართველი არქიტექტორ-რესტავრატორებისა და ხელოვნებათმცოდნეების ჩართვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის ორი წლის წინ გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება. სამუშაო მისიის შესახებ საბოლოო შეთანხმებას კი მხარეებმა 21 სექტემბერს ერევანში საქართველოსა და სომხეთის კულტურის მინისტრების შეხვედრაზე მიაღწიეს. ქართულ-სომხური სამუშაო ჯგუფების მორიგი შეხვედრა მომავალ წელს უკვე თბილისში შედგება. ვიზიტის კონკრეტულ თარიღს მხარეები მოგვიანებით შეათანხმებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**ოთხშაბათი 25 ოქტომბერი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15, 03.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 12.30 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 13.30 ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი"** 14.30 ქართ"დოკუმენტალისტიკა 15.00, 04.00 დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" 16.15, 05.00 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 17.15 ტ/სერ. **"ოფისი"** 18.30, 06.00 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი"** 22.00 მხ/ფ **"ადამიანი შავებში"** (უ.სმიტი) 23.45 მხ/ფ **"რას გაიგებ"** (ჯ.ნიკოლსონი) 06.30 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად "

06.30, 16.00 სერ. **"ტყუილი"** 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.35 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. **"ელიფი"** 11.20 სერ. **"ფიცი"** 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. **"ქალაქის გული"** 18.50, 19.03 სერ. **"მოპარული ცხოვრება"** 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. **"დედა"** 9 სერ. 22.00 პრაიმშოუ 23.30 მხ/ფ **"სამი ცხრიანი"** 01.30 მხ/ფ **"შუამავალი"** 03.50 მხ/ფ **"ვერსალის ბაღები"**

06.00, 18.50 სერ. **"დესპოტი ქმარი"** 07.00, 20.03 სერ. **"დედამთილი"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"მფარველი ანგელოზი"** 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** 15.30 სერ. **"წარსულის ჩრდილი"** 16.55 სერ. **"უსასრულო მოლოდინი"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 კომედი შოუ 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. **"ცხოვრების გზა"** 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40, 23.00 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 პოლიტმერტი 23.30 ღალატი

**GDS** 8.00 ან/ფ "ავატარი 2" 09.00, 19.00 სერ. **"ცისფერი სისხლი-4"** 11.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები-3"** 13.00 სერ. **"ძვლები 11"** 17.00 სერ. **"სამხედროების ცოლები-2"** 21.00 სერ. **"სპირალი 4"** 10 სერ. 22.30 მხ/ფ **"მზის ცრემლები"** 00.45 მხ/ფ **"სამი მეფე"** 02.45 მხ/ფ **"პრეზიდენტის თვითმფრინავი"** 05.00 მხ/ფ **"გარდასახვა"** 06.30 მხ/ფ **"დონ ხუან დემარკო"**

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. **"ბანდოლერა"** 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.10 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.45 ფაბრიკა 18.30 სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 3.45 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. **"გაქცეულები"** 22.00 სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** 23.00 ინეტერვიუ ვანიჩკასთან 00.00 სერ. **"შავი სია"**

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.15 ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე საეკლესიო მხატვრობა" 1 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-ლუიზას ზებრები და გიდის ლომები" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ეპოქა და ადამიანები "დავით სარაჯიშვილი" 10.40 მხ/ფ **"ცისკარა"** 12.05 ღია აუდიტორია 12.50 გაცოცხლებული წარსული "სიონის გუნდი" 2 13.30 ან/ფ "ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ავთო ვარაზი" 16.05 კონცერტი 17.15 ერთსულოვანი ოჯახი "თავართქილაძე" 17.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 ივერიის ეკლესია "ქართლის მოქცევა" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.15 მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** 20.35 ძილი ნებისა "მგელი და კრავი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქვიშით ნაამბობი 21.35 ეპოქის სახელები 22.20 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ **"წითელი ბუშტი"** 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 მხ/ფ **"ბათა ქექია"** 1, 2 სერ.

**მაესტრო** 10.00 - 23.30 მთავარი თუმა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 ოქტომბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4894 | ევრო — 2.924 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2783 | 100 რუსული რუბლი — 4.33 |

**ამინდის პროგნოზი 25 ოქტომბრისთვის**





**26 ოქტომბრიდან**

ონორე დე ბალზაკი

**კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე**

**ნაწილი I**



**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## ზაზა ურუშაძის „აღსარება" საქართველოს კინოთეატრებში გამოდის

26 ოქტომბრიდან საქართველოს კინოთეატრებში ზაზა ურუშაძის ახალი ფილმი „აღსარება გამოდის.

„ოსკარზე" ნომინირებული „მანდარინების" შემქმნელმა რეჟისორმა ახალ ფილმთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე ისაუბრა:

– ფილმი არის მღვდელზე, რომელსაც მიყრუებულ სოფელში გაუშვებენ, სადაც მორჩილთან ერთად მიდის. კარგმა გუნდმა ითამაშა. ფილმში მონაწილეობენ დიმა ტატიშვილი, სოფია სებისკვერაძე, ნატო მურვანიძე, სოსო ხვედელიძე.




„აღსარება" ერთი სასულიერო პირის გარშემო განვითარებულ მოვლენებზეა.

– თბილი და ადამიანური ფილმია. ნამდვილი ფილმია, ყოველგვარი ეფექტების გარეშე. ნატურალური ნამუშევარია, ყოველგვარი ფოკუსების გარეშე. ჩემთვის ძვირფასი ნამუშევარია. ასეთი მნიშვნელოვანი არაფერი გამიკეთებია არც კინოში და არც თეატრში, – განაცხადა მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა დიმიტრი ტატიშვილმა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## გარი ნევილს ევერტონის გაწვრთნა სურს

რონალდ კუმანის გათავისუფლების შემდეგ ევერტონი ჯერჯერობით მწვრთნელის გარეშეა და უცნობია, თუ ვინ დაიკავებს კუმანის ადგილს.



ევერტონი რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს. მათ შორის არის გარი ნევილიც, რომელმაც ევერტონში მუშაობის სურვილი გამოთქვა.

ნევილს აქამდე მხოლოდ ვალენსიაში აქვს მუშაობის გამოცდილება და მაშინ ის რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

ევერტონი ასევე ფიქრობს ტომას ტუხელზეც, რომელიც ბორუსიიდან წასვლის შემდეგ არცერთ გუნდში არ მუშაობს.

ტუხელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გოლდენ სტეიტმა ფაჩულიას ყოფილ გუნდს მოუგო

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა და მოგებ-წაგებები გაითანაბრა. ოკლენდელებმა მორიგი მატჩი ტეხასში, ფაჩულიას ყოფილ გუნდ დალასთან გამართეს და საკმაოდ იოლად – 133:103 იმარჯვეს.

ქართველი ცენტრი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 14 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამაგიეროდ, ფარზე კარგად იმუშავა და შეხვედრა 7 მოხსნით დაასრულა.

რაც შეეხებათ ლიდერებს: 29 ქულით სტეფ კარი გამოირჩა, 25 ქულა დააგროვა კევინ დიურანტმა, ხოლო კლეი ტომპსონის ანგარიშზე 21 ქულა დაგროვდა.

2 მოგებითა და 2 წაგებით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციის მე-8 საფეხურზეა და მორიგ შეხვედრას შინაურ „ორაკლ არენაზე" ჩაატარებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## იუმორი



მამაკაცი საავადმყოფოს კიბეებზე ჩამოდის და თავისთვის ლაპარაკობს:

– მერწყული... ღრიანკალი...?

ისევ უკან აბრუნდება და ექიმს ეკითხება:

– რა მითხარი ექიმო, რა გჭირსო?

– კიბო, ბატონო, კიბო!!!

●●●

ბაბუა შვილიშვილს ზღაპარს უყვება:

– ...და ცხოვრობდნენ ასე ბედნიერად, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სამსახურში წასულ ქმარს მობილური სახლში არ დარჩა...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორ ახერხებ მამაკაცებით ასე ადვილად მანიპულირებას?

– მთავარია, მანიპულატორი უმუშავებდეს, თორემ მაგაზე ადვილი არაფერია...

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი ყოფილი ქმრები ზოდიაქოს ნიშნებით ვინ იყვნენ?

– თხის რქა, ვერძი, კურო...

– რა იყო, ფერმის გამგე იყავი???

●●●

ბანკის თანამშრომელმა ჩაილაპარაკა:

– თქვენ მოკვდებით ეულად, ტანჯვაში და ტკივილში...

– რა ბრძანეთ?

– უი, არა, არაფერი. თქვენ კრედიტი დაგიმტკიცდათ. გილოცავთ...

●●●

შუახნის ინტელიგენტურად ჩაცმული მამაკაცი ქუჩაში მათხოვარს ეუბნება:

– არ გრცხვენიათ, ახალგაზრდავ, ქუჩაში რომ დგახართ და მათხოვრობთ?

– მაშინ გამიხსენი ოფისი და შიგნით დავჯდები...

●●●

კლიენტი რესტორანში ოფიციანტს უხმობს და ეკითხება:

– გარეული იხვი გაქვთ?

– გარეული არა, მაგრამ თუ გინდათ, შინაურს გადავრევთ და ისე მოგართმევთ.

●●●

სოფლელს ქალაქიდან სტუმარი ეწვია. მასპინძელმა გაუშალა სუფრა. მიადგა ქალაქელი და გადაჭამა ყველაფერი. მასპინძელმა უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– შენ ამაღამ მაცივარში თუ დაგაწვენ, თორემ გაგიფუჭდება მაგ საჭმელი მუცელში...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზიდანი წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს

ფიფას ყოველწლიურ დაჯილდოებაზე რეალის მწვრთნელი ზინედინ ზიდანი წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. ეს ჯილდო ზიდანმა დაიმსახურა და არავისთვის გასაკვირი არ აღმოჩნდა, რომ საუკეთესოდ სწორედ ის დაასახელეს.



ზიდანთან ერთად რეალმა გასულ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თან ეს ზედიზედ მეორედ გააკეთა. აქამდე მსგავსი რამ არცერთ გუნდს არ ჰქონდა გაკეთებული.

ზიზუმ ჯილდოს მიღების შემდეგ განაცხადა, რომ მისი ასეთი წარმატება დიდწილად ფეხბურთელების დამსახურებაა.

## რეალს კეინის შეძენა სურს



მადრიდის რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი მოხიბლულია ტოტენჰემის ფორვარდ ჰარი კეინის თამაშით და სურს, რომ ის თავისი გუნდის რიგებში იხილოს. მიუხედავად დიდი სურვილისა, პერესს ესმის, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება.

– კეინი შესანიშნავი ფეხბურთელია და მისი შეძენა რეალს საგრძნობლად გააძლიერებდა, მაგრამ ტოტენჰემი მას 250 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაუშვებს და ამ თანხის გადახდის სურვილი არ მაქვს, – განაცხადა პერესმა.

კეინი წლევანდელ სეზონს შესანიშნავად ატარებს და გატანილი გოლების მიხედვით მას ევროპის წამყვან ჩემპიონატებში საუკეთესო შედეგი აქვს.

## ლესტერის თავკაცი კლოდ პიუელი გახდება

ლესტერის ახალი მწვრთნელი ფრანგი სპეციალისტი კლოდ პიუელი იქნება, რომელსაც ინგლისში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.



პიუელი მუშაობას უახლოეს დღეებში შეუდგება, მანამდე კი ლესტერს კრეიგ შექსპირის თანაშემწე უხელმძღვანელებს.

შექსპირი ცუდი შედეგების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რადგან ლესტერს 9 ტურის შემდეგ მხოლოდ 2 გამარჯვება აქვს და გუნდი არადამაჯერებლად გამოიყურება. პიუელი თავის დროზე საკმაოდ წარმატებით მუშაობდა საუთჰემპტონში, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ ის გაათავისუფლეს.

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 5. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 9. უზადო ბრილიანტი; 12. ყვავის ბარტყი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

**თარაზულად**: 1. მთიანეთი ავღანეთში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. ძველი ქართული დამწერლობა; 9. გერმანული იმპერია; 10. წყალქვეშა კლდე; 11. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 13. ჟანგბადისა და წყალბადის ქიმიური ნაერთი; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნაწილი; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შიშით გამოწვეული მღელვარება; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

